317

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი ყურნალი

131

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!...
ი. ფ.

№ I

წელიწადი მეოთხე

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი

ტფილისი
სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა ✕ Типографія Груз. Издат. Товарищества
1892

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 Декабря 1892 года

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრი მოსწავლესი

ვითხოვენ საშობაოდა,
გულმა დამიწყო ღონება,
აქ აღარ დგება, სახლისკენ
მიფრინავს ჩემი გონება.
ნეტავი კიდევ მაღირსა
დედის კალთაში გორება!
დედა-ჩემს გზებზედ თვალი აქვს,
ვიცი შვილს ელოდინება.
ვიცი იტირებს მალი-მალ,
ცრემლები მოედინება;
ნუ სტირი, დედა, გენაცვა,
ნურც ცრემლი მოგედინება.
მე აქ ვისწავლი, ვეცდები,
უფალმაც ასე ინება.
შენ რომ დაღვარე ეგ ცრემლი,
სწავლაში დამეხმარება.
ვისწავლი, შენ და სამშობლოს
ორივეს გაგეხარება.
კაცი ის არის, ვინც მამულს
თვის სწავლით მოეხმარება!

თ. რაზიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წელიწადი

ერთ ქვეყანას «ახალ-წლად»
მორთავენ ბერ-მოხუცსა,
ვირზე შესხმენ ლამაზად,
წვერ-ჭაღარა ქაქუჩსა.

უმაწვილები იმ ქვეყნის
სიხარულით შესტროვიან
ამ «ახალ-წლის» მოლოდინს
და სულ მას უმღერიან.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერიც გავიდა,
ღამე დადგა ბნელია;
ყმაწვილებს ჩაეძინა,
მოდის «ახალ-წელია».

საცა არის, თენდება,
თუმცა ბჟუტავენ ფანრები;
ციდან მოედინება
თეთრი თოვლის ფარფლები.

მისგან შეიმოსება
ხეები და ბანები;
თეთრად გადიპენტება
მოედნები, ბაქნები.

—

გარედ ჯერ სიჩუმეა,
ფეხის ხმაც არსით ისმის;
მხოლოდ ერთგან ჩოჩქოლი
და ცქრიალი მოისმის.

ყმაწვილები ამდგარან,
ჩაუცვამთ და ელიან.
დერეფნის წინ დამდგარან
და ქუჩას შესცქერიან

—

უცებ შეითამაშეს,
მირბიან და მორბიან.
შორს ვინღაც დაინახეს,
ხმა-მაღლა იცინიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

«მოდის «ახალი-წელი»!
მობრძანდება ვირითა;
სახუქრები მრავალი
მოაქვს ჩვენთვის სტვირითა.

ჩავცქერიალდეთ კიბეზედ,
წინ დავუსვდეთ კალთიითა;
რასაც მოგვცემს იღბალზედ,
მივითვალოთ მადლიითა.»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ წლის წინა ღამეს

(ლეგენდა)



ეკემბერის უკანასკნელი დღეა. გარედ საშინელი სიცივეა. გრიგალი ღრიალებს, ქარი ჭვლეჭს არე-მარეს. მთები სვიეიან. კლდეებიდან საზარელი ყვირილი და გრიალი ისმის, თითქოს დევები დაუჭერიათ, მიუჯაჭვიათ კლდეებზედ და მოქუსარი ზვავები ადრიალებენო. ხევხევი სავსე იყო თოვლით. ქარი ჭრეფდა ფიფქს თოვლს, უბერავდა და ჭშლიდა მთების კალთებზედ. ნაძვერი ტრიალებდა ჭაერში და უფრო აბნელებდა ისეც ბნელს და შავს ზამთრის დღეს. შიმშილით შეწუხებული მგლები ღმუოდენ. ღრუში შესიზნული ბუ მწარედ გაჭკიოდა. ყველა შეწუხებული და შეძრწუნებული იყო. ვინც გარედ იყო, სახლში ეშურებოდა. ვინც სახლში იყო, გარედ ადარა ჭეოფდა თავს. ყველას კარები დაეხურათ, გაეხალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიათ ცეცხლი და შემოჭსხდომოდენ ძირს. სიცივისგან შეწუხებული მეეფრები ხმას ვეღარ იღებდენ, ბოსლებსა და საბძლებს შეჭსიზნებოდენ. ჩიტებს ტეე-ძინდვრის სიცივით ვეღარ გაეძლოთ, საბძლებსა და სახლებს შეჭსეოდენ. ზოგი სად იხოცებოდა, ზოგი სად. სოფელში სიჩუმე იყო. მარტო ბანებზე გართხმული ბოლი თუ ავიქრებინებდა კაცს, რომ აქ სოფელიაო. ამ დროს სოფლის თავში ერთი კაცი გამოჩნდა. ხელში ჯოხი ეჭირა და მხარზედ ბარკი ჭქონდა გადაკიდებული. თეთრს წვერზედ ყინულები ჩამოჭკიდებოდა. ტიტველი ხელ-ფეხი სიცივისგან გალურჯებული ჭქონდა. ტანზედ თითქმის არაფერი არ ეცვა. თავზედ ერთი ტუავის დაგლეჯილი და შემჭვარტლული ქუდი ეხურა. ტანზედ ძველი ჩამოხეული ტილოს ჭერანგი ეცვა. გული გადადღედილი ჭქონდა. სასტიკს ქარს თოვლი შიგ გრიალით შეჭქონდა. ძველი შარვალი ქვედატანს ძლივს უფარავდა; უცნობი თან და თან ბატონიანთ სახლს უახლოვდებოდა. მიდალს შუბლზედ ნათელი ადგა. მშვიდს სახეზედ დიდებულება ჭქონდა გამოხატული. უცნობი კაცი ბატონიანთ კარზე შესდგა. ქარი სვიოდა; გრიგალი ჭგლეჯდა არე-მარეს. შავი ღრუბლები ცაზედ ადიოდენ და ჩადიოდენ. ბატონიანთ სახლიდან დაირისა და ტაშინ ხმა ისმოდა.

— ოჯახის ბატრონო! გაისმა სუსტი, მაგრამ წმინდა ხმა უცნობისა. ხმა არავინ გასცა. — ოჯახის ბატრონო! გაიმეორა უცნობმა.

კაცის ხმაზედ მეეფარი გამოვარდა და გაექანა უცნობისაკენ ეეფით. მეეფარი საშინლად ეტანებოდა. უცნობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქით იყურებოდა. უცებ შემობრუნდა და დაანქერდა ძაღლს. მეეზური უცებ შეკრთა, გაუგორდა ფეხებში უცნობს, მორთო წკმუტუნი და დაუწყო ფეხებისა და ხელების ლოკვა. ბოლოს მოსამსახურე გამოვიდა.

— რა გნებავს? ვინა ხარ? ჰკითხა სასტიკად უცნობს.

— გლახა ვარ საწყალი, ღამემ გარედ მომისწრო, ხვალ ბედნიერი დღეა, ახლა სიცივის გამო ძაღლი არ გაიგდებ გარედ. თუ შეიძლება, ამაღამ ბინა მომეცით სადმე ქრისტეს გულისათვის.—შეევედრა გლახა.

— ადგილი არა გვაქვს!—მიაძახა მოსამსახურემ და შებრუნდა სახლში.

— ბატონს მოახსენე!—გაუმეორა გლახამ.

გლახა კარებზედ იდგა და ელოდა. ბატონის ოჯახში ლხინი და გასარება იყო. ქალები და ვაჟები ლეკურს უვლიდენ. დაირა გრიალებდა. მოსამსახურემ ბატონს მოახსენა, რომ გარედ გლახაა და ბინას თხოულობსო. ბატონმა უბრძანა გაეგდოთ გლახა.

გლახა დაითხოვეს.

გლახა მუხლზე არდგომდა თოვლს და ორად მოხრილი მიიბჯენდა ჯოხს. ბატონის ბავშვები კარებზედ იდგენ და იცინოდენ გლახაზედ. მიდიოდა გლახა და ბატონის სახლი დიდხანს მოსჩანდა ბეგზედ გამოჭიმული.

დაბნელდა. ღამემ შავი ნისლით დაბურა სოფელი. ქარი ისევ ხვიოდა. დრო და დრო ტეიდან მოტეხილის ხის გრიალი მოისმოდა.

გლახა მდვდლის კარებზედ გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჯახის ბატონო!—გაისმა უკუნეოში გლახის ხმა: ღვთის გულისათვის ბინა მოძეცით ამაღამ, სიცივეს თავი შევაფარო!

— რა დროსია, გაგაგდეთ! მოისმა მდვდლის ჯავრობა. ჩემთვის არა მაქვს-რა, ძაგას რა ვაჭამო. გლახა გაგაგდეს.

მდვდელი და იმისი სახლობა ტკბილად შეექცეოდენ ვახშამს, გლახა ვის ახსოვდა!

გლახა ერთი საწყალი კაცის კარებზედ გაჩერდა. საწყალ კაცს სახლის მაგიერ ერთი ქოხი ედგა. შიმშილით სული ამოსდიოდა.

— სახლის ბატონო!—დაიძახა გლახამ:—ღვთის გულისათვის ამაღამ ბინა მოძეცით, დამიღამდა, გარედ დავრჩი!

— მობრძანდით, მობრძანდით!—მოეგება საწყალი კაცი გლახას: სტუმარი ღვთისაა. მე ღირსიც არა ვარ მაგ ბედნიერებისა!

შეიევანა საწყალმა კაცმა გლახა და გაუჩადა ცეცხლი. მოუჯდა თვითონაც გვერდს.

— ბური მშიან!—სთქვა გლახამ,—გიქნება, მაჭამე!

მასპინძელი დაღონდა. ბური არა ჰქონდა, არც ლუკმა. გლახამ შენიშნა.

— რასა სწუსარ,—უთხრა გლახამ,—ააეენე კეცი დან, რო ჩაგიცხვია!

— ის ბური არ არის—უთხრა მასპინძელმა.— სვალ ახალი წელიწადია, არ მინდოდა ჩემს კეცს ცარიელობა დაჭკვებებიო, ფქვილი კი ვე' ვიშოვე და მიწადა ავხილე და ის ჩავაცხვე!

— წადი, ააეენე! ღვთით ეველაფერი იქნება,—უთხრა გლახამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასპინძელი მივიდა კეცთან, მოაშორა ნაცარი და მართ-ლაც ისეთი ბური აუფინა, როგორც უმტვერო თოვლი.

— მოიტა ხორციც!—უთხრა გლახამ—გადმოიღე ქვაბი.

— ქვაბში ხორცი არ გახლავს,—უპასუხა დაღონებულ-მა მასპინძელმა.

საწყალს ჩვეულებისთვის კი ვერ ედალტნა და ქვაბში ძველი ქალამნები ჩაეყარა და ჭსარშავდა.

— არა უშავს-რა, გადმოიღე, გადმოიღე!—დაუყინა გლა-ხამ.

გადმოიღო ქვაბი მასპინძელმა და, აი, საკვირველება! ძველი ქალამნების მაგიერ მშვენიერი ბატკნის ხორცი იყო.

— ღვინოც მოიტანე, ერთი კარგა ვივახშმოთ!—უთხრა კიდევ გლახამ.

მასპინძელს თვალები ცრემლით აევსო. ვინ მიაშავებდა საბრალოს ღვინოს!?

— არა მაქვს, შენი მოსვლის ჭირიმე, უპასუხა სა-წყალმა კაცმა.—ეს შვიდი წელიწადია ჩემს ქვევრებში მარ-ტო აბლაბუდები და ღამურების ბუდეები-ღა არის, სხვა არაფერი!

— წადი, ნახე!—დაუყინა გლახამ. ღმერთი მოწყალეა!

მასპინძელი წავიდა. იმისი უზარმაზარი ქვევრები დე-დის რძესავით ღვინოებით სავსენი იყვენ. ამოიღო ხელა-დით გაბედნიერებულმა მასპინძელმა და მოართო სუფრა-ზედ თავის მვირფასს სტუმარს...

გადასწერა ჯვარი გლახამ სუფრას და გაჭრა ნიავი-ვით. გაჭრა, როგორც მზე გაქრება ხოლმე, მაგრამ ისე-ვაც ამოუბრწყინდება კაცთ, გაუნათებს და გაათბობს. გა-ჭრა, როგორც წმინდა სანთელი გაქრება ხოლმე და კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის საწყალი თვალი ვეღარ დაინახავს, სად წავიდა ნათელი, რომელიც ბნელს გვინათებდა. გაჭრა, როგორც მოჩვენება, ცით მოვლენილი, როგორც სიზმარი ბედნიერებისა. საწყალი კაცი იდგა და შეჭეურებდა გაოცებული კარებს და თანაც ჰირჯვარს იწერდა.

გლახა ქრისტე ღმერთი იყო...

საწყალი კაცი საშინლად გაძდიდრდა. ექვლაფერი ულეველი ჰქონდა. მაშვრალთა და გაჭირვებულთა იმის სახლში ჰქონდათ მუდამ ბინა.

თ. რაზიკაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიცას სიზმარი

I

ექვსი წლისაა პატარა,
კოხტა, ხუჭუჭა-თმიანი,
სიცოცხლით სავსე, მალხაზი
შავ-გიშერ-თვალებიანი.
მთელი დღე მოუსვენარად
დარბის, ტიკტიკებს, ცქრიალებს,
დედოფლებს კაბებს უკერავს
და მათ გარშემო ტრიალებს.
როდესაც მათთან თამაში
ძალზე სწყინდება ნიცასა,
პატარა ფინას უძახის,
კალთაში ისვამს ციცასა
და გულ-მოდგინედ ორთავეს
ტკბილი ხმით ეკურკურება;
თავზედ ხელს უსვამს კატა-ძაღლს,
უვლის და ემსახურება.
იმისი და ძმა ყოველ დღე
სკოლაში იარებიან,
დღისით შინ გვიან მოდიან,
დილა-ადრიან დგებიან
და, რაკი ნიცა სიამით
ველარ აყოლებს მათთან გულს,
ზამთარსა სწყეველის და ნატერით
იგონებს კეკლუც გაზაფხულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ზამთარი მალე გავიდა
თოვლი დაადნა მაღალ მთებს;
გრძელი ბაწარი გაუბამთ
ცაში ყრიყინით წეროებს.
ცქვიტი მერცხლების ჭიკჭიკი
გაისმა მინდორ ველადა;
ნიცაც მზად არის დღე-დღეზედ
სოფელში წასასვლელადა.
ჰფიქრობს და-ძმასთან იჯერებს
გულს მინდვრად გასვლა-გავლითა,
თავს აღარ მოაბეზრებენ
იქ თავიანთი სწავლითა.
მთელი დღე ერთად შინ-გარედ
ირბენენ, იცქრიალებენ,
დროს უქონლობას გაკვეთილს
აქ ველარ დააბრალებენ.
მაგრამ წაუხდა იმედი,
არც აქ უგდებენ ნიცას ყურს:
და ფრანგულს ენას მოუჯდა,
ძმა იმეორებს ლათინურს.
დარჩა კელავ ნიცა მარტოკა,
სულ მარტო დაიარება;
ხან ყვავილებს ჰკრებს მინდვრადა
ხან ჩიტებს მიეპარება.
თან ჰფიქრობს: მეც ხომ საცაა
ძალე დავიწყებ სწავლასა....
რა შეედრება ნეტავი
აქ სეირნობა-გავლასა!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

ჰხედავს საესეა მინდვრები
ბატკნებითა და ცხვრებითა;
სადაც კი მოეწონებათ
ბალახს იქ სძოვენ ნებითა.
დადიან უდარდელადა
ერთ ალაგს არა დგებიან,
თუ ჩამოცხება დიდრონი
ხეების ჩრდილში წვებიან.
ბედნიერები არიან
ეგენი ყმაწვილებზედა;
შურით იძახის გოგონა
ბატკნებზედა და ცხვრებზედა.
ვინ შეაწუხებს მათ სწავლით
ვინ მისცემს გაკვეთილებსა...
დედებიც უკან დასდევენ
მუდამ თავიანთ შვილებსა...

IV

ცხვრებს ჩასცდა, ჩავლო მინდორი
მიჯდა იქ ერთ ხის ძირასა;
წყარო მორბოდა კამკამით
იქავე განაპირასა.
ყვავილებს შეკერა დაუწყო
პატარ-პატარა კონათა...
უცბად მოესმა გალობა
საამო გასაგონათა.
ხის წვერზე შაშვის ბარტყები
ჰჭიარულადა გალობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტიდან ტოტზედ ჭიკჭიკით
დარბოდენ—დაფთხრიალებდენ.
ხშირ ფოთლებ შუა მზის შუქი
ოქროს სვეტადა დგებოდა...
დედა-შაშვს ფრთები დაეშვა,
შვილების მზერით სტკბებოდა...
რა შეედრება ამ ჭიკჭიკს,
ამათ გალობა-ფთხრიალსა,
ამ დიდრონ გაშლილ ხის ჩეროს,
მწვანე ფოთლების შრიალსა?
იმ რაღაც ანგარიშებზედ
მე როგორ გავცვლი წყაროსა,
თავს რომ უხეთქენ უბრალოდ
მუდამდღე ჩემს და მაროსა.
ძმასაც ხომ რაღაც ჯიჯინით
მიაქვს თავი და ყურები...
რად უნდა ვიყვნეთ ნეტა ჩვენ
ჩიტებზედ უბედურები?!...

შინისკენ მოდის პატარა
ნელ-ნელა სიარულითა:
გზაში ჭრელ-ფრთიან პეპელებს
შეხვდა ნატკენი გულითა.
ერთ ყვავილიდგან მეორე
ყვავილზედ ფრენით სხდებოდენ;
რა დასტკბებოდენ მათ სუნით,
კვლავ ქვემოთ გაფრინდებოდენ.
—აი, ესენი არიან
ყველაზედ ბედნიერები,
დაფრინვენ თავისუფლადა,
მოთელილი აქვთ ველები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი ყვავილიც უნდათ,
იმაზე ჩამოსხდებიან,
დილიდგან-საღამომდისინ
მათიცე სუნით სტკბებიან.

ნატრობდა ნიცა მათ ყოფას
მალი-მალ ნეტარებითა;
ხელში ეჭირა კალათი
მას საესე ყვავილებითა.

მოვიდა ნიცა თავიანთ
ეზოში ჩაფიქრებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიჯდა იქავ კუნჭულში
რაღაცა დაღონებული.
ზის და პეპელა-ჩიტების
ყოფაზე ფიქრობს მარადა...
ყვავილნი გადმოუცვივდენ
და ჩაეძინა წყნარადა...

VI

სიზმარში ნახა მან თავი
პეპელად გადაქცეული,
ნიავი ჰქროდა, გრილოდა,
მზე იყო ამოწეული.
მის დაწინწკლული ფრთა-გული
მზის სხივებზედა ბრწყინავდა;
სხვა პეპელებთან ერთად ის
მხიარულადა ფრინავდა.
ამ დროს უეცრად ბავშვებმა
კიჟინა დასცეს პეპელებს,
ჭლეტა დაუწყეს უწყალოდ,
სცემდენ ქუდებსა და წკეპლებს.
სულ მთლად გასწყვიტეს. ზოგ-ზოგი
გულ-მოსაკლავად წვალობდა
და ის კი შაშვად ქცეული
ხეზედ ტკბილადა გალობდა.
აქაც უეცრად ხის ძირში
სიათამ *) დაიგრიალა,
ძირს ჩამოცვივდენ ფრინველები,
ამან კი დაიფთხრიალა
და უცბად გაჩნდა მინდორში
პატარა ბატკნად.—ბღაოდა,

*) თოფსა ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედას ეძებდა საწყალი
და საბრალო ხმით ღნაოდა.
—დაჩუმდი! აბა, რას სტირი?
შენ აქ გულ-მოსაკლავადა;
დღეს მიათრევდენ დედა-შენს
სოფელში დასაკლავადა.
ვინ იცის, ახლა მის ხორცით
რამდენი გამოძღებოდა;
ცეცხლზე შემოდგმულ ტაფაში
დუმაც კი გადადნებოდა;
ამ სიტყვებს ცხვარი პაწა-კრავს
ბუზღუნით ეუბნებოდა,
და მას კი მწუხარებისგან
გულ-ღვიძლი ეთუთქებოდა.
ამ მწუხარებამ პატარა
გამოალვიძა ყვირილით
და დედას გულში ჩაეკრა
სლოკინითა და ტირილით.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საახალწლო სურათები

I

ამინელი სიცივეა, თოვლი ადლზედ სძევს. ყინვისაგან არე-მარე მთლად გათოშილია. სოფელ ატმურის პატარა მდინარე „მღვრიე“ კლდესავით გაყინულია და ზედ სოფლის გოგო-ბიჭები ციგაობენ, თხილამურებით სცურავენ; სიცივისაგან სულ დალურჯებული აქვთ ცხვირ-პირი, უბიდგან ხელებს ვერ იღებდენ, მაგრამ მაინც არა ტყდებიან და ძიგ-ძიგით გარბი-გამორბიან. ბავშვებს დღეს მოძრაობაში არც დიდები ჩამორჩებიან: ყველა მიეშურება სოფლის დუქანში საახალწლო საკვლეური, არაყი, თაფლი იყიდოს და ცოლ-შვილი გაახაროს.

ამ სოფლის მებატონის სახლშიაც, რასაკვირველია, საახალწლო სამზადისია. მზარეული ივანე უშველებელ ღორსა ჰფუფქავს, საახალწლო „ღორის თავი“ განსაკუთრებით სუფთად აქვს მომზადებული. ნინო დედა-კაცი ხონჩებს ავსებს სხვა-და-სხვა დაბრაწულ „ბასილებით“, მეტადრე ორს იმათგანს ერთ ქალის სახით და მეორეს ვაჟისას ძალიან ალაზათიანებს, მომატებული ნუშით და ჩამიჩებით აჭრელებს; სოსიკა ბიჭი კარზედ შეშასა სჭრის და ზვინებს აყენებს. სახლის პატრონი დარია სვიმონიძის ქვრივი კი სასტუმრო ოთახს ალაგებს, აჩქარებით შედის და გადის ოთახში, მოსამსახურეებს განკარგულებას აძლევს. რამდენიც საღამო ჟამი ახლოვდება, დარია უფრო და უფრო ჩქარად უყურებს კედლის საათს და თითქოს უსაყვედურებს, რომ ის საკმაოდ ჩქარა არ დადის. აი, შვიდი დაჰკრა, დარიამ კარებიდან გასძახა მოსამსახურეს: სოსიკო, ბუხარს შეშა მოუმატე, სამოვარიც შემოიტანე, აგერ საცაა, ჩვენი მგზავრებიც მოვლენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლადაც ის იყო სოსიკამ აქაფქაფებული სამოვარი დასდგა სტოლზედ და კარებზედ, მარხილი მოსრიალდა, იქიდგან საჩქაროდ ორი ყმაწვილი გადმოხტა და სიხარულით დაროს მოეხვიენ.

— გამარჯობა, შვილებო, გამარჯობა, ჩემო ძვირფასებო, ჭუკებო! როგორა ხართ? ხომ არ შეგცივდათ. ცეცხლთან ახლო მოდით, გათბით, დაისვენეთ. აბა, ჩაი!... ვინ იცის, როგორ გშიანთ, აი. ნაზუქი, კარაქი, კვერცხი... აღელვებული დასტრიალებდა დარია თავის შვილებს და არ იცოდა, რითი გამასპინძლებოდა ძვირფას სტუმრებს.

— დიაღ, სადგურთან (სტანციასთან) რომ მარხილი დავინახეთ, კინალამ გავგიჟდით სიხარულით. ოჰ, რა მშვენიერებაა მარხილით სიარული! ისე მისცურავ, ისე მიჰქრის, თითქო ეს არის ფრთები გამოგსხმიაო, სულ გავიწყდება სიცივეც, ქარიც, მეტადრე მაშინ, როდესაც ჩვენმა პავლემ გაუჯიბრა ცხენები ჩვენებიანთ ცხენებს. ჩვენ სული გავნაბეთ და მარტო იმასღა ვუგდებდით ყურს. თუ ვინ ვის აჯობებდა; ბევრჯელ წაგვისწრეს, მაგრამ ბოლოს ჩვენ გავიმარჯვეთ და, აი, პირველნი ჩვენ შემოვედით სოფელში. დედაჯან ხვალაც წავიდეთ მარხილით სასეირნოდ! შორს, შორს, დიდ გაშლილ მინდორზედ.

— კარგი, კარგი. საცა გინდათ, როგორც გინდათ. ერთი კვირის სტუმრები ხართ და როგორ დაგზარდებით! სხვა, შვილო. როგორა ხართ, როგორ სწავლობთ? აბა, ერთი, მანუგეშეთ, გამახარეთ?

— ვცდილობთ, დედა აი, დათამ ამ სადღესასწაულოდ რა მშვენიერი ნიშნები მიიღო, სთქვა უფროსმა მაშომ და თავის თავი რომ არ ექო, საჩქაროდ დაუმატა: აი, მოგიტანეთ, დედაჯან, რაც დაგებარებინა. დეიდამ ყველაფერი გვიყიდა და ჩაგვილაგა: აი ეს ნაბდის ქუდები, ჩუსტები, მოსახვევები, თბილი შალი, ბანბაზე... მაგრამ, დედა-ჩემო, რისთვის გინდა ყველა ესენი?

— ჯერ დალიეთ, სჭამეთ, გაძეხით, გათბით და მერე გეტყვით. თქვენ გენაცვალოთ თქვენი დედის თვალები, აგერ ექვსი თვეა, არ მინახეხართ! როგორ გაზრდილხართ გალამაზებულ ხართ. ხომ კარგად გინახავენ სასწავლებელში, საჭმელი ხომ გემრიელი გაქვთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი, ყველაფერი, არა გვაკლია-რა თქვენს მეტი და ხან-და-ხან ჩვენი სოფლის ნახვა მოგვინდება ხოლმე. ეხლა ამ დღესასწაულებში რომ არ წამოგეყვანეთ, თვალებს დავითხრიდით ტირილით. შენი მშვენიერი ჩურჩხელები, გემრიელი გოზინაყი იქაც მოგვივიდა, მაგრამ აქ უფრო სხვა გემო აქვს. აი, ამ ბუხართან, შენ გვერდით, ჩვენ ლამაზ სახლში და მხურვალედ გადაეხვია დედას პატარა დათა.

— მე თითონ მინდოდა ქალაქს ჩამოსვლა, მეშინოდა გზაში არ გაციებულიყავით, მაგრამ ოჯახს თავი ვერ დავანებე. ამ დღესასწაულებში სირცხვილიც არის, კაცმა სახლის კარი გამოკეტოს, ამოდენა მოსამსახურეებს, მეზობლებს არ გაუმასპინძლდეს და თავის ჭერი არ გაახაროს. მერე ისიც ვიცოდი, რომ სოფელი თქვენ მთელ ქვეყანას გერჩიენათ და ისევ თქვენი წამოყვანა გავბედე. აბა, ჩვენმა ივანემ, რომ განთიადისას არ მოგვიკვლიოს და ჩვეულებრივი სამი მანათი არ მიიღოს და ცოლ-შვილისთვის გოზაურით წითელი ღვინო, განა ამას დაგვითმობს ან ჩვენ უნდა შევირჩინოთ?

II

პატარა ქვითკირის ოთახში, რომელსაც სამი კედელი ძალიან დანოტიევებული აქვს და ფანჯრები ჩამოქცეული, ბუხრის წინ ძველ, ჭილობზედ სხედან შავებით ჩაცმული დედა და ხუთი შვილი. ბუხარში ორი მუგუზალი ძლივს ბჟუტავს და ოდნავ ანათებს საშინელ სიგლახაკეს და სიცარიელეს ამ სადგურისას. დედა და შვილნი ჩუმად სხედან და რაღასაც მოელიან. აი, გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი, ხელში უჭირავს პატარა თუნუქის სანავთე და ზურგზედ ჰკიდია მოკლე-მოკლედ დამტვრეული ხმელი შეშა.

— ოჰ, გიგლაჯან, მოხველ, აბა, რა მოგვიტანე? საჩქაროდ ჰკითხა დედამ შემოსულს და ფეხზედ წამოხტა.

— აი, ერთი გირვანქა ნავთი და ეს ცოტაოდენი შეშა, სხვა ვერა ვიშოვე-რა,—ნაღვლიანად სთქვა გიგლამ და ცეცხლთან მიიხუხა.

— თაფლი შვილო? არ მოგცა იმ ღვთის მტერმა მედუქნემ? მე კი, ი ორი მუჭა ნიგოზი რაღაც გამოჩნდა, კიდეც დავჭერი, მეგონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლს მოგვიტანს და ბავშვებს გოზინაყს მოუხარშავ-მეთქი, ამოოხვრით—სთქვა საცოდავმა ნინომ.

— თაფლი არ იქნებაო, ასე მითხრა. თქვე ოხრებო, პური არა გაქვთ და თაფლებს კი ინდომებთო; მერე ფული რომელი „სუმიდამ“ უნდა მომცეთო?

— არ უთხარი დედა პურს გამოგიცხობს, სარეცხს დაგირეცხს-თქო.

— როგორ არ ვუთხარი, ბევრი ველიჯინე, მაგრამ როცა გამომიცხობს, თაფლს მაშინ მოგცემთო, დაცინვით მითხრა. ე შე'მა კი ორ ღობეში მოვამტვრიე, ზოგი გამხმარი ტოტი იყო, ზოგიც სარი.

— დედა, მაშ რა ვქნათ, რა ვქნათ? ახალ წელიწადს არც ახალი ტანისამოსი, არც გოზინაყი, არც სასმელი, არც საჭმელი! ცარიელი ჭად-პურა ხომ დაგვეკვება. ტირილით ეხვეოდენ გარს შვილები ნინოს.

— საცოდავებო, დაგვეკვებებაო! თქვენ სიგლახაკე მაშინ დაგეკვებათ, როდესაც მამა მოგიკვდათ, აბა, მე რა გიშველოთ, რომელ წყალში გადავარდე ამ საშინელ ზამთარში! წავიდე ქალბატონს დარიას ვსთხოვო; მაგრამ არა, არ შემიძლიან. განა თუ ლუკმას ვჭამთ, იმისგან არა ვჭამთ. აი, ეს შავი კაბაც გუშინ იმან მიბოძა: „შე საცოდაო, ახალი ქვრივი ხარ და ფერადი კაბა გაცვიაო“. არა, არ შემიძლიან ველარ შევაწუხებ, რაცა გვაქვს, იმითი უნდა მივეგებნეთ ახალ წელიწადს.

— მივეგებნეთ, იმისმა ვერანობამ ჩოხა-ქალამანი, თაფლი, ერბო, არაყი არ მოგვიტანოს. იმის რჯულიც დაიქცეს, ჰო, და, აი! ტირილით სთქვა გიგლამ, რომელიც დაფრეწილ და დასველებულ ღაზლის წინდებს ძლივას იძრობდა დამძრალის ფეხებიდგან.

— სუ, შვილო, ღმერთს ნუ აწყენინებ, რაც იმის ნებაა ისე უნდა მოხდეს. აი, გაიზრდები, მკლავი გაგიმაგრდება და ოჯახს პატრონობას შენ გაუწევ; გაზაფხულზედ სამუშაოს იშოვი, მეც გავალგამოვალ, საქმეს მოვეკიდები რასმე და ღმერთი შეგვეწევა.

— იჰ, დედა,—ამოკვნესით სთქვა ძონძებში გახვეულმა ლიზამ, მინამ გაზაფხული მოვა, ჩვენ შიმშილით ამოვწყდებით. რა არის, ი, დალოცვილმა ღმერთმა ერთი ბეწვა ჩვენკენაც გადმოიხედოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს კარებს უზარმაზარი ქვა მოხვდა და მთელი ოჯახი შიშის ზარმა მოიცვა: შვილები დედას მიეხვიენ და ჟივილ-ხივილი დაიწყეს.

— სუ, სუ! რა დაგემართათ, რისა გეშინიანთ, იქნება კედლიდან ქვა გადმოვარდა, საშინელი ქარი ჰქრის. აბა შვილო, გიგლა, ეს ჭრაქი მომინთე, კარში გავიხედოთ, ჯერ ადრეა, ქვეყანა ზეზეა, რისა გეშინიან.

გიგლამ ჭრაქი აიღო, ნინომ ვეებერთელა კეტი და კარში გავიდენ, პატარეები ერთმანერთს მიეკრენ და სულის სიმწარით ელოდენ დედის დაბრუნებას.

— გიხაროდეთ, შვილებო, გიხაროდეთ! ჩვენთვინაც ახალი წელიწადი სდგება; აბა, ნახეთ რა ღვთის მოწყალება ვიპოვნეთ. ამ სიტყვებთან ერთად, ოთახში ძლივს შემოიტანეს გიგლამ და ნინომ უშველებელი კალათი; კალათში ეწყო სვიმონიძიანთ ყმაწვილების მოტანილი ნაბდის ქუდები, ჩუსტები, თბილი შალი, რამდენიმე არშინი ბანბაზე საკაბეებათ, ჩაი, შაქარი, ქილით თაფლი, ძველი დედალი, ღორის ბარკალი, ორი ბოთლი ღვინო და რამდენიმე „ბასილა“ და წითლად დაბრაწული ბედის კვერი.

ბავშვები სიხარულით გადაირიენ: გულში იკრავდენ ყველაფერს, ჰკოცნიდენ საჩუქრებს, იცინოდენ, სტიროდენ აღტაცებით. გიგლა ჩუსტებს იზომებდა, ლიზა წითელ თავსახვევს, ვასო ნაბდის ქუდს...

— ღმერთო, მაცხოვარო! ეს რა გამოგვიჩინე, რა გვანუგეშე, აღელვებული ამბობდა ნინო და ხელ-გაპყრობილი ავედრებდა ზეცას ამის წვრილ-შვილის გამხარებელს.

ამ დროს დარია თავის ორი შვილით ამათ ოთახის ფანჯარასთან იდგა და რაღაც განგებით ერთად-ერთ შეჩენილ შუშიდგან უყურებდა ამ საოცდავების ბედნიერებას. მაშო და დათაც ხტოდენ, იცინოდენ ბავშვების სიხარულზედ და მაშინ კი, როდესაც ნინომ თვალ-ცრემლიანმა ზეცას გაუპყრო ხელი, ამათაც თვალები ცრემლებით აევსოთ და მაგრა მიეკრენ თავიანთ კეთილ დედას.

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი და ახალი წელიწადი

ალით მოსული სტუმარი,
ჭირზედაც უარესია:
მასპინძლის გაუტანლობა
მისი რიგი და წესია!...

—

შარშან არ იყო, გვესტუმრა
ეს წელიწადი დღე-მეტი?
არ გაგვიტანა წყეულმა,
თავ-ბრუ დაგვასხა და რეტი!

—

კიდობნის მტრედად მივიღეთ:
დაეხვდით ლოცვით და ნატვრითა!
ამან კი ღვთისგან წყეულმა,
უბედურობით დაგვტვირთა!

—

სხვა-და-სხვა ჭირი, სახადი,
მან ხარკად შემოგვაწერა
და ესეც რომ არ გვაკმარა,
ზედ დაამატა ხოლერა!

—

ახლა კი ვირზე შემჯდარი
მიიპარება ბებერი!...
და რაღა გვეთქმის ჩვენც მეტი:
„წინ წყალი... უკან მეწყერი!“

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ახალი-წელი მოგვიდის,
რაშსზე ზის, მოაკუნტრუშებს
და იმედს აძლევს თანასწორ
უსაქმურებსაც და მუშებს.

—

მ-ტაცებული სურვილით
ყველა ეძლევა ოცნებას:
რაც ძველმა-წელმა დააკლო,
ახლისგან ელის შევსებას:

—

მაგრამ ვინ იცის, რას გვეტყვის?..
ახალიც ძველის შვილია:
ბოლოში გაგვიმწარდება!...
თავში სუყველა ტკბილია!!

—

გულ-გატეხილი ანდაზაც
ანბობს:—„მე არას ველიო.“
„ახალი ცოცხი კარგად ჰგვის,
ქვიშას მოატანს ძველიო.“

ბეკეკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციბუნია და წუნკალა

ატარინემ გადმოიღო თუნუქის დიდი კოლოფი, რომელშიაც ზუთხი ეწყო. ამოიღო იქიდან ორიოდე ნაჭერი, რომ სადილად მიართვას თავის ბატონებს, დაალაგა ეს ზუთხის ნაჭრები დიდ თეფშზედ (საინზედ) და ის იყო უნდა კოლოფი შეედგა ისევ თავის ალაგას, განჯინაში, რომ ამ დროს შემოესმა ეზოდან ქათმების გამყიდავის ხმა. ესენი მეორეს დღეს სტუმრებს მოელოდენ და უთუოდ ბლომად დასჭირდებოდათ კაი ქათმები. მაშინვე დაანება ამ მზარეულმა დედაკაცმა კოლოფს თავი და გაექანა ქათმების საყიდლად.

კატარინემ არ იფიქრა, რომ თუნუქის კოლოფმა ერთი სულიერის ყურადღება მიიქცია, რომ ამას თვალის მდევნელი ჰყვანდა.

ამ პურის საჭმელ ოთახში მოეკალათებინა ციბუნიას, მთელ ოჯახის საყვარელს და განებივრებულს კატას. მართლა ღირსი იყო, რომ ყველას ჰყვარებოდა ეს ციბუნია! მშვენიერი ხატაველი ბეწვი ჰქონდა და ამასთანავე საშინელი ფაქიზი და გამჭრიახი იყო. ეს დიდი ხანია თვალს ადევნებდა კატარინეს.

გავიდა ის თუ არა ოთახიდან, ციბუნია წამოდგა, ნელა-ნელა, ფეხაკრებით გამოსწია, თან აქეთ იქით იცქირებოდა, ხომ არავინ მხედავსო.

ბოლოს დარწმუნდა, რომ მარტო არის ოთახში და მიუახლოვდა იმის გასაშინჯად, რაც კატარინეს იატაკზედ დარჩა. არც ბევრი სინჯვა დასჭირებია ამისთვის. ეს იყო ზუთხი, შვენიერი ზუთხი, რომელიც კატას თავის თავს ერჩივნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა კეთილი ადამიანი იყო ეს კატარინე, რომ თუნუქის კოლოფი ასე გახსნილი დაუტოვა. თორემ ციბუნია ხომ თავის დღეში ვერ იგემებდა ამისთანა გემრიელ ზუთხს.

კატამ ჩაჰყო ნელ-ნელა თათი. ჯერ ერთი ნაჭერი ამოიღო. „რა გემრიელი ყოფილა ეს დაწყეველილი ზუთხი“ გაიფიქრა ციბუნიამ. მერე კიდევ ერთი ნაჭერი ამოიღო. ისე გემრიელი ეჩვენა, რომ კინაღამ თათებიც თან ჩაატანა. ციბუნია არ ჩქარობს, დაფიქრებით და მშვიდად ჰყოფს თუნუქაში თავის ბამმასავით თეთრ თათებს და იღებს და იღებს ზუთხის ნაჭრებს. ან რა ეჩქარება, განა კატარინე აგრე მალე გაათავებს მექათმესთან ვაჭრობას!

ციბუნია მუყაითად ილაგებდა მუცელში ზუთხის ნაჭრებს, სანამ სულ არ გაათავა, არ მოისვენა. მერე პირის ჩასატკბობად ტუჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაილოკა, გასუფთავდა და ვითომც და არაფერიაო, გარეთ გავიდა და ბოსლის კარებს წინ მოიკალათა. ციბუნიას უყვარდა ბოსლის და სამზარეულოს კარებს წინ წოლა და მზეზედ ნებივრობა, მეტადრე ამასთან, გემრიელს საუზმეს შემდეგ. პატარა ხანს უკან დაიწყო თვლემა, ხან მარჯვენა თვალს აახელდა და ხან მარცხენას, ბოლოს ტკბილად ჩაეძინა.

კატარინემ გაათავა მექათმესთან ვაჭრობა და დაბრუნდა ოთახში.

— უი, შენ ჩემო თაო!... დაიყვირა გაბრაზებულმა კატარინემ, როდესაც დაინახა გამოცარიელებული ზუთხის კოლოფი, — ეს იმის საქმეა, იმ წუნკალა კატასი, სხვისი არა ვისი. მე ის ადვილად არ გადამირჩება, როდისმე ამ ჯოხს გადავატეხ თავზე.

მერე კატარინემ არც კი ჩახედა შიგ, არის კიდევ ზუთხი თუ არაო, საჩქაროდ გადისროლა კოლოფი ეზოში, რა არი, მის ქალბატონს არ შეენიშნა ამის დაუდევრობა.

ეს წუნკალა კატა, რომელსაც ბრალი დასდო კატარინემ, სწორედ ყველას შეეზარებოდა, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო. ყველა მისი მნახველი ზურგს შეაქცევდა, ისეთი უსუფთაო და გაქეცილი იყო. ციბუნიას კი არა გვანდა, რომელიც ყოველ წამს პირს ილოკავდა ფაქიზად ინახავდა თავს. წუნკალასავით ნაგავსკი არ გაჩიჩქნიდა, იქ არ მოსძებნიდა თავის საკვებს და შიგ არ ჩაწვებოდა.

წუნკალა მუდამ აბურძგნული, ჭუჭყიანი დაწანწალებდა მეზობლების კარებს წინ, იქნებ რამე პირის გასანძრევი ვადმომიგდონო, მაგრამ ყველა ჯოხს დაუშენდა, ცოცხით გამოუდგებოდენ და თან წყევლასაც დააყრიდენ, წყევლას ისე არა ჩიოდა წუნკალა, როგორც ჯოხის სიმწარეს. უიმისოთაც ფერდები სიგამხდრით ჰქონდა ჩაგდებული.

— დამაცალოს იმ წუნკალამ, ერთი ფერდები ჩაუმტვრიო, სული დავანთხევინო! ამბობდა კატარინე და თან გუნებაშიაც არ იტარებდა, რომ ბრალი დაედო თავის საყვარელ და განაზებულ ციბუნიასთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ახლაც საბრალო წუნკალა ცარიელი მუცლით, ნაღვლიანად დაწანწალებდა ეზოში, როდესაც ვააფთრებულმა კატარინემ გადისროლა ზუთხის კოლოფი.

— ეს რა ბედნიერებაში ჩავარდი, გაიფიქრა წუნკალამ, მოულოდნელად საზრდო მომეცა.—და ეცა კოლოფს. მაგრამ იმედები

გაუცრუვდა. ციბუნიას მოესლაპნა, აღარა დაეგდო რა, ისე გაელოკა, თითქოს კოლოფი გაურეცხიათო. ხოლო ძირში ორიოდ წვეთი ზეთი დარჩენილიყო. წუნკალამ ჩაჰყო თავი და დაიწყო ბეჯითათ თუნუქის ლოკვა.

— მე არა ვთქვი, დაიყვირა კატარინემ, რომ სულ ამისი ბრალია—და მზარეული დედაკაცი დიდი ცოცხით მივარდა ამ საბრალო კატას.

წუნკალამ უნდა თავს უშველოს, მაგრამ კოლოფში გაიჭედა, რის ყოფით თავი მაღლა აიღო, მაგრამ თუნუქი ქუდივით თავზედ წამოეხურა.

საცოდავი იქნეედა აქედ-იქიდ თავს, ფხაჭნიდა თუნუქას, მაგრამ ვერა გახდარა. გააფთრდა კატა, მთლად გადირია, აღარასა ხედავდა, არ იცოდა თავი როგორ დაახწიოს ან კატარინეს, და ან კოლოფს. ხან ერთ მხარეს მირბოდა, ხან მეორე მხარეს. ბოლოს დიდი გაჭირებით მეზობლის სახლის სახურავზედ ახტა და ამითი გადირჩინა თავი. იქაც დიდხანს ეწვალა, სანამ კოლოფს მოიხდიდა თავიდან. მერე დაფიქრებული და დანაღვლიანებული ადამიანის უსამართლობაზედ შეეიდა ჩარდახში დასასვენებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბის დროს ციბუნიამ უეცრად გამოიღვიძა. ძროხის მოწველის დრო იყო, ამას არ გამოეპარებოდა ეს დრო, უთუოდ უნდა დასწრებოდა. თავდაჭერით და მოწიწებით დასკუპდებოდა ძროხის წინ და შესცქეროდა როგორა სწველიდენ. მერე დინჯად გაჰყვებოდა ბიჭს, რომელსაც მიჰქონდა ხოლმე დუქანში გასასყიდად აქაფებული და ერბოიანი რძე. იცოდა რომ რძის გადასხმ-გადმოსხმაზე ამას არგუნებდენ ორიოდ წვეთს. რა მოთმინების პატრონი იყო ეს ციბუნია, წყნარად და ალერსიანად შესცქეროდა ყველას, იცოდა, რომ არ დაივიწყებენ.

წუნკალას კი ყველა ქურდს ეძახდა, და მისი ცუდ უბრალოდ ცემა არავის უკვირდა, რადგან ყველას დამნაშავე ეგონა. არ ვიცით კი ციბუნია გრძნობდა თუ არა, რომ მის მაგივრად სხვა იტყეპებოდა.

ა. თ.-წ—სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყინული

ერთს ზამთრის დილას პატარა
დათიკომ ნახა ყინული,
მზეზე ბრჭყვიალებს, საწვიმარ
ღარზედა ჩამოკიდული.

და უთხრა დედას სიამით:
„დედილო, გენაცვალეო,
აგერ ალმასი ჰკიდია
და ჩამომიღე მალეო“.

„მოიცა, შვილო,—მიუგო
დედამ—მზე გაძლიერდესო,
და მა'მინ ნახე, შენს ალმასს
აბა, რა მოუვიდესო?“

მართლა, გათბა დღე თუ არა,
წვეთა დაიწყო ყინულმა,
და ისევ დედას მიჰმართა
დათიკომ, განკვირვებულმა:

„უიმე, დედა, შეჰხედე,
მოსწვეთავს წყლად ქცეულიო'“
„რად გიკვირს, შვილო? დამდნარა
თოვლია გაყინულიო!“

„მე კი ალმასი მეგონა,
დედილო, რომ ბრწყინავდაო“,
—სთქვა დაღონებით ყმაწვილმა: —
„და მისთვის გამეხარდაო.“

„ასეა, შვილო, ჩვენ ხშირად
გვატყუებს გარეგნობაო;
მიტომაც არის საჭიროო
დაკვირვება და ცნობაო“!

დუტუ მეგრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვობის დროის მოგონებანი

თევზაობა

ატარაობისას თევზაობა ძლიერ მიყვარდა. ჩვენის სოფლის არემარეც ხელს მიწყობდა. თვითონ შუაგულ სოფელში რავდენიმე ვეებერთელა წყარო ამოჩუხჩუხებდა მიწიდგან. სოფლის ვარშემო ადგილები ხომ სულ საესე იყო ცივ-ცივი წყაროებითა. წყაროების თავი დაჩრდილული იყო ირგვლივ ჩარგული ნერგებითა და ზაფხულში აქ საამური სიგრილე ტრიალებდა. ამ ჩრდილებში დასვენება, ყინულივით ცივი წყლით წყურვილის მოკვლა ზაფხულის პაპანაქებაში სწორედ ნეტარება იყო.

ეს მრავალი წყაროები სულ სამხრეთისაკენ მიდიოდენ, გზაზედ ერთმანეთში ერეოდენ და აჩენდენ მოზრდილს ფშნებსა, რომელთა ნაპირებს ბურვიდენ ხშირი თხილის ბუჩქები. ამ ფშნების წმინდა წყალში ჩნდებოდენ და მრავლდებოდენ სხვა-და-სხვა თევზები და მათ შორის კალმახიცა, უგემრიელესი თევზთა შორის.

სათევზაოდ ჩემს უფროს ძმას დავაწვნევინე ლერწმის პატარა კალათი, წოწლოკინა, პტყელი და ისეთი მსუბუქი, რომ ნიავიც კი წაიღებდა. წამოვიდებდი მარჯვენა მხარზედ ამ კალათსა, გავსწევდი ქვემოდ და ჩავიდოდით ფშნების პირსა. გავიხდიდი ჩუსტებსა და წინდებსა, გამოვიხვევდი ჩოხის კალთაში, ჩავხტებოდი ფშნის ბოლოში და შევყვებოდი ზევით-ზევით თევზაობითა. მივაგნებდი დარნებსა (ჯილს), ერთი ხელით კალათს მივუმარჯვებდი, მეორე ხელით ჯოხს შევუჩიჩხვინებდი დარნებში და დავუქშევდი თევზებსა. დაფეთებული თევზები გარედ გამორბოდენ და სცვივდებოდენ კალათაში, რომელსაც მე სწრაფად ავაცილებდი ხოლმე წყალსა. რასაკვირველია, ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზი აიცდენდა ხოლმე კალათსა და თავს უშველიდა; მაგრამ ზოგი კალათში მოჰყვებოდა ხოლმე და სამუდამოდ გამოესალმებოდა თავისს საყვარელს დარნებსა.

მე ძლიერ მომწონდა ცოცხალი თევზების მოყვანა შინა. ამიტომ თან დამქონდა პატარა სპილენძის თუნგი, შუა წელამდის წყლით სავსე, და მასში ვყრიდი დაჭერილს თევზებსა.

თევზის ჭერას ისე გატაცებით მივსდევდი, რომ ხშირად მთელს დღეს ფშნებში ვაღამებდი და მარტო ხმელის პურის ამარა ვრჩებოდი. იქნება გეგონოთ, თევზის ჭამისათვის სული მიმდიოდა და იმიტომ ვიყავი ასე გატაცებული? სრულიადაც არა. თევზს საჭმელად ძალიან ნაკლებად ვეწყობოდი და ხიზილალა ხომ თვალის დასანახავად მეჯავრებოდა. მაშ რად მეხალისებოდა ასე ძლიერ თევზის ჭერა? ჯერ იმიტომ, რომ სასიქადულო საქმედ მიმაჩნდა, ყოჩაღობად ვსთვლიდი, და მერმე იმიტომ, რომ მშობლებისთვის თევზი სანატრელი საჭმელი იყო; ხოლო მე მათს სიამოვნებას და ქებას ძვირად ვაფასებდი. მე მაშინ ჯერედ პატარა ვიყავი და თევზის სიბრალული იოტის ოდენადაც არა მქონდა. მე არ დაგიდევდი მას, რომ თევზიც ქვეყანაზედ ღმერთს გაუჩენია მისი სიამისა და ბედნიერებისათვის და არა ჩვენ საწვალებლად და საჭმელად; ამიტომაც შეუბრალებლად ვასალმებდი წუთი-სოფელს ახლად გაჩენილს თევზებს, ჭიჭყინებსა, რომელთაც ჯერედ სიცოცხლით არ გაეხარნათ.

როცა იღბლიანი დღე დამიდგებოდა და თუნგს ცოცხალი თევზით ავავსებდი, ჩემს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მე ამ დროს ჩემი თავი ალექსანდრე მაკედონელი მეგონა და სოფელში ისე წელ გაშლილი და თამამი გამოვიელიდი ხოლმე, თითქო დიდს ომში გაუმარჯვენიაო. მაგრამ თუ ნაესიანი დღე დამიდგებოდა და თუნგი ცარიელი მიმქონდა, მგლოვიარესავით დაღონებული მივდიოდი.

ნაფოტა თევზი, ფიჩხული, მურწა, შავი თევზი და სხვა წერილმანი თევზები ხშირად ჩადიოდნენ ჩემს კალათაში და კალათიდგან ჩემს თუნგში მოექცეოდენ ხოლმე; მაგრამ მე მაინც გულნაკლულად ვიყავი და ჩემს თავს ნამდვილს მეთევზედ არა ვთვლიდი. რადა? იმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ, რომ ვერ ველირსე და ვერა კალმახის დაჭერასა. ბევრჯელ მოვასწარ კალმახს დარნაში, რავდენჯერმე კიდეც ჩავაგდე კალათაში, მაგრამ, მინამ მე კალათას ავაცილებდი წყალსა, სწრაფი კალმახი ელვასავით ავარდებოდა კალათიდგანა და გაქრებოდა. რავდენადაც ძნელი გამოდგა კალმახის დაჭერა, იმდენად უფრო მიძლიერდებოდა სურვილი მის დაჭერისა. ზაფხულის პაპანაქებაში უდაბნოში მყოფს ირემს ისე არ ენატრება დაწაფება ცივის წყლისა, მშიერ კატას ისე ძლიერ არ მისდის სული თევზის შესუნნისათვის, დამშეული კაჭკაჭი ისე არ ეტანება წიწილის ჩაგდებას თავის კლანჭებში, როგორც მე მინდოდა კალმახის დაჭერა; მაგრამ ვერ იქმნა და ვერა.

— ზაქარო! ერთი კალმახის დაჭერა მასწავლე და რასაცა მთხოვ, მომცემი ვარ, შეეხვეწე მე ჩვენს მეზობელს გლეხს კოკაურს, რომელიც კალმახის მარჯვე ჭერაში განთქმული იყო არამც თუ ჩვენს სოფელში, არამედ გარეშემო სოფლებშიაცა; იგი ყოველთვის კალმახით გაუმასპინძლდებოდა ხოლმე თავისს მებატონეებს და სხვა მსხვილ-მსხვილ სტუმრებს სოფლისასა.

— ხა! ხა! ხა! ხა! ჩაიხარხარა კოკაურმა: მაგ კალანჩხათი უნდა კალმახი დაიჭირო?! იმ უგემრიელესის თევზის დაჭერა რომ აგრე ადვილი იყოს, მისი სახსენებელიც კი აქამდის ათასჯერ გაწყდებოდა დედა-მიწის ზურგზედ. მე თევზაობაში დავბერდი, ხოლიხის ხმარებაში,—კვეხნით არ ვიტყვი,—ტოლი არა მყავს და მეც კი საქმეს საშინლად მიჭირებს ხოლმე. ჯერ მისი ჩაგდებაა ხოლიხში ძნელი და მერმე აღარ ამოშვება. თუ ნახევარ წუთით ხოლიხის ზემოდ ამოკვრა დავაგვიანე, კალმახი ელვასავით ამოვარდება და თავს უშველის. სამს კალმახში, ხოლიხში მოქცეული, ორი მაინც და მაინც ისევ წამივა ხოლმე. და შენ შვიდის წლის ბალანამ და მაგ სამასხარაო კალანჩხათი როგორ უნდა დაიჭირო ასეთი სწრაფი და მარდი თევზი? არა, კაკო, კალმახს თავი დაანებე, შენი საკბილო არ არის, იჭირე პატარა ზანტი ჭიჭყინები, მეტი შენ ჯერ არა მოგეთხოვება-რა.

კოკაურის სიტყვებმა არამც თუ ხელი არ ამაღებინეს ჩემს წადილზედ, კიდევ უფრო გამიცხოველეს სურვილი კალმახის დაჭერისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ან მოვკვდები და ან კალმახს დავიჭერ ამ კალანჩხით და დავუმტკიცებ კოკაურს, რომ მარტო მას არ შეუძლიან კალმახის დაჭერა“,—გადავწყვიტე მე ჩემს გულში და უფრო ბეჯითად შევუდექი თევზის ჭერასა. მალე გავაორკეცე ჩემი ხერხი, ჩემი სიმარჯვე. მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ ერთმა შემთხვევამ ისეთი თავზარი დამცა, რომ არამც თუ კალმახის დაჭერაზედ, თვით თევზაობაზედაც სრულად ხელი ამაღებინა.

ერთხელ იმდენი თევზი დავიჭირე, რომ თუნგი ყელამდის მოიყარა, შინ მოვდიოდი და სოფელს რომ მოვახლოვდი, ფეხში დიდი ეკალი შემერჭო და ძლიერ ღრმად წავიდა. ეკალმა შემაწუხა და ფეტვის მჭადივით დამღრიჯა. როცა ამ სახით ჩვენის მეზობლის ეზოს დავუპირდაპირდი, ბებერმა მელანამ ბაკის ღობიდგან დამინახა დაღრეჯილი სახით და მიკიჟინა:

— ცარიელი მოდიხარ, განა?

მე შევუხვიე მის ეზოში და თავმოწონებით დავუდგი წინ თევზით სავსე თუნგი.

მელანა შურიანი ადამიანი იყო, არაფრად ეპიტნაცა ამდენი თევზის დაჭერა და, რომ გული წაეხდინა ჩემთვის, მითხრა:

— მაგ თევზაობას თავი დაანებე, თორემ ფშნებში გველი იცის, გიკბენს როდისმე, დაგშხამავს და ისე სწრაფად გაგგუდავს, რომ ზიარებასაც ველარ მოგასწრებენ...

თუმცა მელანიას შურიანობა კარგად ვიცოდი, მაგრამ მისი სიტყვები მაინც ტყვიასავით მომხვდა გულში და ძლიერ შემაშინა. მთელი ორის კვირის განმავლობაში სათევზაოდ აღარ გამივლია. მოკლებული ჩემს უპირველესს სიამოვნებას, მე დიდს მოწყენილობას ვგრძნობდი. ბოლოს ვიფიქრე: ეს კოკაურიანთ ზაქარა ამდენი ხანია ხშირად დაიარება სათევზაოდ და, თუ შხამიანი გველი იცის ფშნებში, რატომ ერთხელ მაინც არ უკბენია მისთვის. და განვაახლე თევზაობა, თუმცა გულში შიში ისევ მიტრიალებდა.

ერთხელ ძლიერ ნაესიანი დღე დამიდგა. მთელი დილა ვითევზავე, მაგრამ ორიოდე პაწია ჭიჭყინას მეტი ვერა ვიგდე-რა ხელში. გულზედ მოვედი, გავბრაზდი და ცხარედ დავიწყე ტაკება ჯოხისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარნებში და ფშნის ნაპირებში. უცებ მარჯვენა ფეხზედ რაღაც მეჩოთირა, რაღაც ლიპი და ცივის რისამე შეხება ვიგრძენი. მე მეგონა თევზია-მეთქი და კალათი მოვიმარჯვე; დავიხედე და, თქვენს მტერს ნუ დაანახვა ის, რაც მე დავინახე. მკლავის სისხო წითელი გველი მეხვეოდა მარჯვენა კანჭზედ. ერთი საშინელი დავიკივლე, კალათი ხელიდგან გავაგდე, მარჯვენა ფეხი გავიქნიე, რაც ძალი და ღონე მქონდა, და ასეთს მაღალს ნაპირზედ ამოეხტი, რომ მშვიდობიანს მდგომარეობაში ეს ჩემთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩუსტები და თუნგი ვიღას მოაგონდებოდა; ფეხშიშველა გავეშვი მინდორზედ და გავრბოდი შინ, რაც კი შემეძლო. შიში მუხლს მოჰკვეთავს ხოლმეო, ამბობენ. მე კი შიშმა ფრთები შემასხა და ისე სწრაფად ჩემს სიცოცხლეში არ მირბენია. სირბილის დროს ბევრი ეკალი მერჭობოდა შიშველა ფეხებში; პირიანი ქვებიც მისერავდნენ ფეხებს, მაგრამ ამას მე იოტის ოდენა ყურადღებასაც არ ვაქცევდი. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ გველმა დამშხამა და რავდენსამე წამს შემდეგ სრულიად გამოვესალმებოდი წუთი-სოფელსა. ჩემი სურვილი იყო მხოლოდ—მინდორში არ დამელია სული, მიმეხწია შინა, ზიარებულვიყავ და დედის კალთაში მომკვდარვიყავ. სწრაფად გადავირბინე ერთი ვერსის სიგრძე მინდორი, გავირბინე სოფელი, მივარდი ჩვენ სახლთან და შევვარდი დარბაზში ისეთი სახით, რომ გადარეული ვეგონებოდი ადამიანსა. შინ დედის მაგივრად მამა დამიხვდა. გავექანე, კალთაში ჩავუვარდი და მივაძახე:—ვკვდები, მამილო, ვკვდები!

— რა არის, შვილო, რა დაგმართნია? მკითხა მამამ ისეთი მშვიდობიანი კილოთი, რომ ცოტა არ იყო, იმედი მომეცა.

— გველმა დამშხამა და ვკვდები.

— სად და როგორ?

მე ვუამბე ლუღლუღით, კანკალით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად.

— ტყუილად შეგშინებია, ჩემო კარგო, სულ ტყუილად. წყლის გველს არც შხამი აქვს და არც კბენა იცის. ჩემს სიცოცხლეში თუნდა ხუთჯერ-ექვსჯერ მომხვეევია წყალში გველი ფეხზედ; მაგრამ ფეხი გაშიქნევია მომიშორებია და გათავებულა ამითი საქმე. წყლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გველს კაცის ფეხზედ დახვევა უყვარს საკბენად კი არა, სითბოს გულისათვის. აბა, მარჯვენა ფეხი გაშალე და კარგად გასინჯე, თუ სადმე ნაკბენი ეტყობოდეს.

მე ტახტზედ გავჭიმე ფეხი, დავაცქერდი კარგად მარჯვენა კანჭსა, მაგრამ ერთი ბეწო გაფხაჭნილი და დასისხლიანებული ვერსად შევამჩნიე. თვალებს მაშინვე არ დავუჯერე, რადგანაც ძლიერ ვიყავი დარწმუნებული, რომ გველმა მიკბინა და დამშხამა. თვალები მოვიფშვნიტე, მოვიწმინდე და ხელმეორედ გავიშინჯე კანჭი. ახლაც იგი სრულიად საღი და უვნებელი გამოდგა. მაშინ კი დავიჯერე, რომ გველის კბენა და დაშხამა ტყუილად მომლანდებოდა და სულ უსაბუთოდ დამცემოდა შიშის ზარი...

დავშოშმანდი, მაგრამ ამ საშინელმა შიშმა მაინც თავისი გაიტანა. ჯერ ერთი ესა, რომ ციება დამაწყებინა და მთელი ორი კვირა მაცივა; მეორედ, დამჩემდა შიში გველისა იმდენად, რომ მისი სახელის გაგონებაც კი შემაძრწუნებდა ხოლმე; მესამედ, ჭირივით შემძულდა კოკაურიანთ მელანა, თავიდათავი მიზეზი ამ უსაფუძვლო და საშინელის შიშისა.

ამ დღიდგან სრულიად ხელი ავიღე თევზაობაზედ.

თუმცა მე სხვა და სხვა მუშაობას მივსდევდი და ჯაფაში გართული ვიყავი, მაგრამ მაინც მოწყენა აშკარად მეტყობოდა, რადგანაც უსაყვარლესს გასართობს მოვაკლდი.

ერთხელ კერესლანთ ლექსუამ, რომელიც ჩვენს სოფელში პირველი მომწყერავე იყო, დაღონებული დამინახა და მითხრა:

კაკო, რატომ შენს ქეიფზედ აღარა ხარ? იქმნება თევზაობა მოგწყინდა? აგრე იცის, კაცს გულს მალე აუცრუებს ხოლმე. სრულიად სხვაა მწყერაობა. რავდენიც ბევრსა მწყერაობ, იმდენი უფრო გინდა და გინდა. მწყერაობა ისეთი სასიამოვნო რამეა, რომ თევზაობა ნარცხადაც არ მოვა მასთანა. აბა შეგირდად მომებარე და ისეთი ოსტატური მწყერაობა გასწავლო, შენი მოწონებული...

ამის შემდეგ ლექსუა მწყერაობაზედ მარტო აღარავის უნახავს რაოდენისამე წლის განმამავლობაში. მას ყოველთვის თან დასდევდა ამხანაგი და ეს ამხანაგი ვიყავი მე. მაგრამ მწყერაობაზედ საუბარი შემდეგისათვის გადავდოთ...

იაკობ სვიმონიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ე გ ე ნ დ ა

ამნაშავე ვინმე ერთხელ
ბნელს ორმოში ჩააგდესო.
დრო გავიდა... მეორესაც
ეს პატივი მიაგესო.

პირველს ვადა შეუსრულდა
იმ ორმოში ჯდომისაო.
შეინანა... იმედი აქვს,
ალალ გულით შრომისაო.

ღვთის განგებით ჩაეკიდა
პრასის ფოჩი მის დამხსნელად.
უკვირს, მაგრამ რაღას იზამს,
ხელი სტაცა ასასვლელად.

დაეკიდა პრასის ფოჩსა,
მაღლა მიდის ნელა-ნელა.
ეს მეორემ დაინახა:
იოცა და გაიძნელა!

სთქვა: ეს კაცი წმინდანია,
რომ პრასის ფოჩს მიჰყავს მაღლა,
მადლობა ღმერთს, ამის მადლით
მეც ვიხილავ ნათელს ახლა!

ისკუპა და მაღლა ამსვლელს
ქალმნის კოპზე მოჰკრა ხელი.
პრასა მაგრობს, ორივემ
უნდა ნახონ დღე ნათელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, დახე ეშმაკს! პირველს
გულში შიში შეეპარა
და სთქვა: პრასა რომ არ გაწყდეს,
მოვიშორებ ამ კაცს ჩქარა!

უცბად ფეხი გაიქნია,
იმ საბრალოს მოსაცლელად.
პრასა გაწყდა; ორივენი
ჩაიყარნენ ისევ ბნელად...

* * *

ეს ამბავი ანგელოზმა
მოახსენა ქრისტე-ღმერთსა.
ქრისტემ ორნივ დამნაშავე
ინახულა იმავ დღესა.

პირველს უთხრა: „ვაი შენს გულს
შენის სულის სიმოკლესა!
ტანჯვისაგან დახსნის ნაცვლად,
გსურდა დაგელუპა ესა!

ღირსი ხარ, რომ შენს მაგიერ
ამან თელოს მიწის პირი,
და შენ აქვე, ბნელს ორმოში,
მოათავსო გული ძვირი!...“

—

ამხანაგის მოღალატე
და მოძმისა დამღუპველი
იტანჯება სულით, ხორცით:
ანდერძია ძველის-ძველი!

ზეზვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარ-პატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი მეცამეტე

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა.“
შოთა

მაო ლადო! მართლად და ეს დალოცვილი ბუნება რა ფერადფერადი ყოფილა! ღვთის სიბრძნეს, აბა, ვინ მისწვდება!?...

მაგრამ, როგორც მასწავლებელმა ამიხსნა, ვისაც კი ბუნების გაცნობა სურს, იმას თითონ ბუნებავე წაიტაცებს და წაახალისებს ხოლმეო. თურმე რამდენათაც კაცი მეტს ძიებას და კვლევაშია, იმდენად ბუნება თავს აყვარებს, უფრო და უფრო ანდამანტივით იზიდავს მას და გაუხსნის ხოლმე თავის გასაოცარ სულსა და გულს.

წარსული წერილით ხომ გავიცანით ზოგიერთი მუქთა ხორა (მკბენარი) მწერები. ახლა ძმაო, აი, კიდევ რა ღირს საცნობელი მოვლენა მიამბო ჩვენმა საყვარელმა მასწავლებელმა.

„ერთხელვე ცნობილია, რომ ფრინველებისთანა მოსიყვარულე თავის ოჯახისა და წვრილშვილისა არა ცხოველში არ მოიპოვება. ვის არ გენახვებათ, რა საკვირველი შრომით და საოცარი ოსტატობით აშენებენ ფრინველები თავიანთ ბუდეებს; ან კიდევ როგორი თავ-გამოდებით და თავ-გაწირვით უვლიან თავიანთ ბღარტებს. ფრინველების ამ გვარი გულმოდგინებითი შრომა და თავგანწირული სიყვარული და ზრუნვა თავის მომავალის თაობისთვის, ხალხში ანდაზათაც კი შემოვიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ როგორც სჩანს ბუნებას ძლიერ ჰყვარებია სხვადასხვაობა.

წარმოიდგინეთ, რომ ბუნების გამომკვლეველმა მეცნიერებმა ფრინველებშიაც კი ოცამდე მეტი სხვადასხვა ჯიში აღმოაჩინეს, რომელნიც მუქთახორად ცხოვრობენ. ეს ფრინველები ძრიელ დაუდევრად და გულცივად ეკიდებიან ოჯახის მოწყობას და თავიანთ მომავალ თაობაზედაც გულაცრუებულნი არიან. ასე გასინჯეთ, იქამდე უჯიგრონი ყოფილან, რომ თავის საკუთარის ბღარტების გამოსაჩეკათაც კი ბინას არ იკეთებენ და არც მათ გამოსაზრდელად იტკიებენ მაგრე რიგათ თავს.

ამ გვარი მუქთა-ხორა, უსახლკარო ფრინველები უცხო ქვეყნებში ცხოვრებენ და რადგან მათ არ ვიცნობთ, ამიტომ მაგალითისთვის შეგვიძლიან ავიღოთ იმ ფრინველების მეთაური ჩვენი გაზაფხულის სტუმარი გუგული.

გუგულს ხომ ყველა იცნობთო?—დაგვეკითხა მასწავლებელი.

ძმაო ლადო, მე მაშინათვე მომაგონდა წრეულ ზაფხულს, რომ გუგულმა დამძლია და მოვახსენე.

— გუგულს ამ ზაფხულს თვალი მოვკარ, ხოხობივით სწრაფი და მოკლე მანძილზე გაფრენა სცოდნია და როგორც ჩვენმა მებაღემ ონისიმემ მიამბო, ის, „გუ-გუ, გუ-გუ“-ს რომ იძახის, თურმე მამალია და დედალი გუგული კი რაღაცას ქვი-ქვინებს—„ქვი-ქვი-ქვიო“, თითქო ჩაიხარხარაო.

მერე მასწავლებელმა გადაფურცლა წიგნი და სურათზედ მიგვითითა:

„აგერ გუგული. მიმინოს ოდენა ფრინველია, ცოტათი მოხრილ ნისკარტიანი, მოკლე ფეხებიანი, გრძელ ფრთებიანი და გრძელივე კუდიანი. ფერად ზემოდგან მუქი ნაცრისფერია, თეთრი ზოლებიანი და ხალებით აჭრელებული, ქვედა მხარე კი თეთრი აქეს ყვითელ ზოლებით გარდიგარდმო დახატული. გუგულის სამშობლო ევროპა, აზია და აფრიკაა.—ჩვენში საგარაკოთ მაისის დამდეგ მობძანდება ხოლმე, ზაფხულს არხეინად ატარებს და „საცა ჭერი მაღალია, ის იმისი მაყარია“; მარიამობის დამლევს კი ისევ თბილ სამხრეთ ქვეყნებისკენ მიფრინავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუგულს ტყეებში განმარტოებული ცხოვრება უყვარს და უფრო ხეების კინწროებს ეტანება. საშინელი ღორ-მუცელა, მეტის მეტად გაუმაძღარი რამ არის და ხეების ჭია-ღუას სულ მუსრს ადენს. მეტადრე ძრიელ უყვარს ნერგის ჭია, რომელიც აბრეშუმის ჭიას წაჰგავს და ვიდრე პეპელათ გადაიქცევა, მთელი ტანი ჯაგარივით მაგარ ბუსუსით აქვს შემოსილი. ამნაირი ჭიები ხეებს და ხეხილს ძრიელ დიდ ზარალს აძლევენ, რადგან ნორჩ ფოთლებს და ყლორტებს ანადგურებენ. ამ ჭიების ეკლიან ტანს სხვა არა ფრინველი არ ეკარება, გუგული კი სიამოვნებით ყლურწავს და ჩაიტკბობს ხოლმე პირს. გუგულის კუჭი რომ გასჭრათ, ისეა მოფენილი ამ ჭიების ჯაგრით, რომ მოთელილ ნაბადს მოგაგონებსთ.—ერთი სიტყვით გუგულს ჩვენთან დიდი სამსახური მიუძღვის, რადგან ამდენ ჭია-ღუისაგან იხსნის ჩვენთვის სასარგებლო ხეებს და ხეხილებს.—ამ გვარათ თუმცა გუგული კაცისათვის ძრიელ სასარგებლო ფრინველია და მომაკვდინებელი ცოდვაა, ვინც იმას მოჰკლავს, მაგრამ ფრინველებს კი გუგული ძრიელ ეჯავრებად და ასე გასინჯეთ პატარა ტყის ჩიტებიც კი სდევნიან.—თითონ გუგულიც გაქსუებულია, ფრინველების საზოგადოებას ერიდება და განმარტოებულად უყვარს ცხოვრება. ასე გასინჯეთ არც სხვა გუგულებს ეკარება და მათაც ახლოს არ იკარებს და რა ტყეშიაც გუგული ცხოვრებს, იმ ტყის ახლო-მახლო სხვა გუგულს არ მიუშვებს ხოლმე. ამასთანავე გუგული იქამდე მშიშარა და მიუკარებელი რამაა, რომ რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერას გზით ვერ მოაშინაურებთ.

ამ ბაასის დასაწყისში ჩვენ გუგული აღვნიშნეთ მეთაურად მუქთა-ხორა (პარაზიტ) ფრინველთა შორის. ახლა აგიხსნით რაში გამოიხატება გუგულის მუქთა-ხორაობა.

გუგულს მუქთა-ხორად იმიტომ სთვლიან, რომ თავისთვის ბუდეს არ იშენებს და სხვა წვრილ ფრინველების ბუდეებით სარგებლობს. ეს კიდეე არაფერი; იმის ურცხობა იქამდე მიდის, რომ შვილებსაც მათ აზრდევინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გუგული თავის კვერცხებს სხვის ბუდეებში სდებს, ეს დიდი ხანია დამტკიცებულია და ყველასთვის ცნობილი, მაგრამ რა საკვირველ ხერხს და ჭკუას იჩენს ხოლმე ამ დროს გუგული, ეს იქმნება, ყველამ არ იცოდეს.—მაგალითად განა ღირს საცნობელი არ არის ის გარემოება, რომ გუგული როცა სხვის ბუდეში კვერცხს სდებს, იმისთანა ფრინველების ბუდეებს ირჩევს ხოლმე, რომ იმ ფრინველის და გუგულის კვერცხები სიდიდითაც ერთი იყოს და გარეგანაც ერთ ფრად იყოს დაწინწკლული.—დოქტორმა ბალდამუსმა ერთხელ პროფესორ ნიუტონს თექვსმეტი ბუდე აჩვენა სხვა და სხვა ფრინველებისა, რომლებშიაც ამ ფრინველების კვერცხებთან ერთად თითო კვერცხიც გუგულისა ერია. ყველა მინუშები საშინლად წაგვანდა გუგულის კვერცხებს, როგორც სიდიდით, ისე თუ გარეგანი ფერით, თუ ხალებით, თუ წინწკლებით. ერთი სიტყვით თუ არ გამოცდილი თვალი, ვერც კი გაარჩევდა იმ ფრინველების კვერცხებს გუგულის კვერცხებიდგან.

ამ ვვარ ოსტატობას და ეშმაკობას გუგული იმიტომ ეტანება, რომ რაც შეიძლება ადვილად მოატყუოს თავის კვერცხების გამოზრდელი დედინაცვლები.

გუგული სხვაფრივაც ძრიელ ბევრს ოინბაზობს; სულ კი იმ მიზნით, რომ თავის მომავალ თაობას ბინა და გამზრდელები აუჩინოს. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გუგულს პატარა ფრინველები, ტყის ჩიტები, ჰყავს დაბრიყვებული და არც ერთი მათი ბუდე გუგულს არ გამოეპარება, რაც უნდა ოსტატურად იყოს მიმალული. იხელთებს თუ არა დროს, როცა ბუდის პატრონი ჩიტი საჭმლის საძიებლად წავა, მაშინ გუგული ჩაბძანდება ხოლმე არხეინად და ჩიტის კვერცხებს ერთს თავისასაც მიუმატებს, ზოგჯერ გუგულს ჩიტის ბუდე ბღარტებით სავსე დახვდება ხოლმე; მერე რა გგონიათ? დაერიდოს თუ?.. აი, თქვენც არ მომიკვდეთ,—იმ ჩიტის ბღარტებს დახოცავს ხოლმე, ბუდიდგან ამოჰყრის და ცარიელ ბუდეში კვერცხს სდებს. აგერ სურათს დააცქერდით, რა შეუბრალებლად ქლეტავს გაკაპასებული გუგული საწყალ ჩიტის ბღარტებს.—ზოგს ჩიტს ბუდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადმე ხის ტოტის ფუღუროში აქვს გაკეთებული და ისეთი ვიწრო პირიანი ფუღუროა ხოლმე, რომ ჩიტიც კი ძლივს ჩაძვრება. გუგული ამ შემთხვევაში საკვირველ ჭკუას ხმარობს — კვერცხს ჯერ მიწაზედ დასდებს, მერე ნისკარტით აიღებს და იმ ვიწრო პირიან ბუდეში ჩააგორებს ხოლმე.

წარმოიდგინეთ, რომ გუგულის ბღარტი დედაზე უარესად ავაზაკობს.—გამოიჩეკება თუ არა, ეს ჯერ ბრმა, შიშველი და სუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი ბახალა სულ იმის ფიქრშია, აცა როგორმე თავიდგან მოვიშორო ამხანაგი ბღარტებიო, რა არის, ბურთი და მოედანი მარტო თვითონ დარჩეს; სასაცილოა როცა იგი ზურგზე წამოიკიდებს თავის დედინაცვლის ბღარტს, თავისავით თვალთ აუხილავს, და გაჭირებით მიცოცავს ბუდის ნაპირამდე და იქიდგან კისრულს უგდებს ხოლმე და ძირს ტყაპანს ადენს.

გასაკვირველი ის არის, რომ თითქო ბუნებაც ხელს უწყობს ამ პატარა ავაზაკს.—ახლად გამოჩეკილ გუგულს ზურგი ღარივით ჩაღრმავებული აქვს და ეს გარემოება ძრიელ შველის ბღარტების გადმოყრის დროს. თორმეტს დღეს შემდეგ კი ზურგი ისევე უსწორდება.

რა მიზეზით ავაზაკობს პატარა გუგული, ეს ხომ აშკარაა: რომელსამე პატარა ჩიტისათვის ძრიელ ძნელია თავის ბღარტებიც გამოკვებოს და ღორ-მუცელა არა მკითხე მიამბეც. გუგულსაც კარგად ესმის ეს გარემოება და ძნელად მოხდებაროთ რომ ელსამე ბუდეში ერთ კვერცხზედ მეტი დასდვას. და თუ მოხდა რომ სადმე ორი კვერცხი ჩადვა, მაშინ იმ ბუდეში უფრო დიდი ცოდვა დატრიალდება ხოლმე. ახლად გამოჩეკილი გუგულები ორივენი ჯერ იმას ცდილობენ, თავის მეზობლები კისრულით ძირს გადმოყაროთ და რაკი ბუდეში თითონ ღა დარჩებიან, ახლა ერთმანეთს ებრძვიან. ძმის ანუ დის მკვლელ-გამარჯვებულ ბახალას რჩება ბურთი და მოედანი. საწყალი ჩიტი კი, ასე უსინიდისოდ მოტყუებული, ძალიან შრომობს და უზიდავს საჭმელს ამ გაუმაძღარ სხვის შვილს. მერე რა, გგონიათ მადრიელია თუ, გუგულის ბღარტი, თავის დედინაცვლისა? მადრიელი კი არა, როცა მოსშივა ისეთსა ჩაჰკრავს ხოლმე თავში თავის დედინაცვალს, რომ სულ თვალებს დაუბინდებს ხოლმე. საწყალმა პაწაწა ჩიტმა, ან კი რა ქმნას, როგორ შესძლოს ამ დოყლაპიას გამოკვება, მთელი ქალაქი დღე სწვალობს და მაინც ვერ ასდის მის მსუნაგ მუცელს.

ზოგჯერ გუგული მიწაზე სდებს კვერცხებს და კრუხათაც თითონ ჯდება და ბღარტებსაც თვითონვე კვებავს. აგრეთვე არიან იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირი ჯიშის გუგულნი, რომელნიც ბუდესაც იკეთებენ, კრუხათაც ჯდებიან და ბღარტებსაც ისე უვლიან, როგორც სხვა ფრინველნი; ამ ნაირს მაგალითს წარმოადგენს ამერიკაში მცხოვრები გუგული, ნათესავი ჩვენის სტუმრისა.

ახლა საკითხავი ისაა, რა აიძულებს გუგულს ამ გვარ ეშმაკობით შეუცვალოს ხოლმე თავის კვერცხები და ბღარტებიც სხვას აზრდევინოს! ეს კითხვა ჯერ კარგათ ვერ არის გამორკვეული და ახსნილი ბუნების მეცნიერთაგან. ზოგი იმ აზრისაა, რომ რადგან გუგული ძლიერ ადრე გვეთხოვება ხოლმე, ამიტომ ვერ მოასწრებდა თავის ბღარტების გამოზრდასო. უფრო ნამდვილი კი ის აზრია, რომ ყველა ფრინველები კვერცხებს ზედი ზედ სდებენ და გაათავებენ თუ არა, იმ წამსვე კრუხათ ჯდებიან, გუგული კი სულ ექვს კვერცხს სდებს და იმასაც ისეთი დიდის დროს გამოშვებით, რომ ვიდრე გუგული უკანასკნელ კვერცხს გამოჩეკს, პირველი კვერცხები დალაყდება კიდეც.

მასწავლებელმა ბოლოს ისიც დაუმატა: „ჩემი აზრით დიდი უსამართლობა იქნება, რომ გუგული სრულ მუქთა-ხორად ჩავთვალოთო- სრულ მუქთა-ხორად (პარაზიტად) იმ გვარი ცხოველი ანუ მცენარე ჩაითვლება, რომელიც განუშორებლივ სწოვს თავის პატრონს. მაშასადამე რადგან გუგული მხოლოდ იქამდე პარაზიტობს, ვიდრე მოჩიტდებოდეს, ამიტომ გუგული უნდა ჩაითვალოს მუქთა-ხორად ნახევარზედ.“

ახლა, ძმაო ლადო, ღმერთმა გვაშოროს ნახევარზედ მუქთა-ხორაობა და სრული მუქთა-ხორაობაც. მაშ გაუშარჯოს იმას, ვინც თავის ოფლით ცხოვრებდეს!

შენი ძმა ილიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენი ძველი გმირები

XV

ჯერ პირველი შიკრიკი არ იქნებოდა მცხეთის სასახლის კარზე მისული, რომ მეორემ მოუსწრო უბედური ამბით. მეფე ფარნაოზი გადაცვლილიყო ბედიას. სასახლიდან საზარელი ხმა გამოვიდა, მოგვთა უბანში ატყდა ქურუმთა მწუხარების გალობა და გლოვის ზარი. არმაზის კოშკიდან ეუწყა დაღონებული გოდების ნაირი ღაღადება გარეშემო სოფლებს და ხეობებს. მყივარნი ქურუმნი კოშკიდან კოშკზე აწვდენდენ ერთ ნაირი მწუხარების გალობის ხმას, რომელიც აუწყებდა დიდებულ მეფის გადაცვალებას სოფლიდან სოფლამდე, ერთი ხეობის კოშკიდან მეორე ხეობამდე. ამ სახით უცებ მოელო მწუხარე ამბავმა მთელი მთა-და-ბარი. ერთი დღე არ გასულა, რომ მთელს საქართველოში შავი ზღვიდან მოკიდებული დარუბანდამდის გაისმა ხმა ფარნაოზ მეფის სიკვდილისა. ყოველგან ერი გარბოდა, იყრიდა თავს სამლოცველოებზე, თავში იტყებდა, იარაღს იყრიდა, წელს იხსნიდა და ხმა მაღლა ღაღადებით და მოთქმით სტიროდა. სასახლის უბანი დიდებული კარის კაცებით აივსო. ისინი დამწკრივებულიყვენ სამსამი ერთად მთელის ეზოს სიმრგვლეზე, იდგენ მოწყენილნი და თვალ-ცრემლიანნი.

სასახლის კარი დაფელილი იყო. დარბაზში ტახტზე იჯდა ფეხმოკეცილი დედოფალი თმებ-გაშლილი, შავით მოსილი. ცალგნით დიდებული მეფის ნიშანი ოქროს ტახტზე ესვენა. ნიშნად იყო მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ტანთ-საცმელი, ბრინჯაოს (თუთბრის) მოოქრული მუზარადი, წვრილ-თვალა ტანთ-საცმელი მისივე სახელოებიანი, ხვაფთანი (სამკერდე), საბარკული და ხამლები (ფეხსაცმელი). ისეთი ხელოვნებით იყო ნიშანი შეწყობილი, რომ გეგონებოდა ტახტზე თვით მეფე ასვენიაო. ცალ-მკლავზე ედვა ფარი კამბეჩის ტყავით გადაკრული და ოქროს წვრილი ლუსმებით შეჭედილი ისე, რომ ლუსმებით მოჭედილობა გამოხატავდა ლომსა. მარჯვენით ჰქონდა დაწყობილი: ხმალი, შუბი, აფთი (ორპირი მოკლე ნაჯახი) და ლახტი (თავში სარტყმევი რკინის კომბალი). მეფის ნიშანთან თავით იჯდა მეფის მემკვიდრე, საურმაგი, დედოფლის გარშემო ტახტზე ირგვლივ ისხდენ დიასახლისები, ყველანი თმა-გაშლილნი და შავით შემოსილნი. ნიშანთან იდგა მთავარი მოგვი შემოსილი და მასთან მრავალი ქურუმები. ისინი სუნნელოვანს ამბრას აბოლებდენ. ნიშნის წინ ოქროს სამფეხზე ბრიალებდა წმინდა უშრეტი ცეცხლი. სამფეხის ცალმხრით დედა ქურუმი, თეთრით მოსილი, მსახურებდა ამ წმინდა ცეცხლსა. სასახლის წინ დაყენებული იყო მეფის საჯდომი ცხენი, უკუღმა შეკაზმული და შავით მოსილს მეჯინიბეს ეჭირა. მეორე მხრით იყო გაწყობილი სამხედრო როლი, ანუ ეტლი.

სახლთ-უხუცესი, შავით მოსილი, განაგებდა ტირილის რიგსა. ეზოში კარის-კაცნი მთავარნი და დიდებულნი თავის ღირსებისამებრ იყვენ ჩამწკრივებულნი. ეზოდან დარბაზში უნდა შესულიყო ორ-ორი მათგანი ერთად წელ-შეხსნილნი, თმა გაწეწილნი, გულ-გალიაღებულნი. ისინი იწყებდენ ვაების ხმით ტირილსა, თავში და გულ-მკერდში იცემდენ მუშტსა და ისე შედიოდენ დარბაზში. მათ გაჰყვებოდათ მოზარეთა კრებული, რომელნიც მშვენიერი შეწყობილი ხმით ჰგალობდენ გლოვის ზარსა და თვით დიდებულთა ტირილს შეუწყობდენ ხმასა. ისინი დარბაზის კართან შეაჩერებდენ ზარის ხმას, რადგან თვით დარბაზში ამავე ზარს გალობდენ ქურუმთა კრებულნი. მოტირალნი დიდებულნი ჯერ მიეიდოდენ წმინდა ცეცხლის წინ მუხლს მოიყრიდენ, თაყვანს სცემდენ, შემდეგ მოთქმით იტირებდენ ნიშანს. ეტყოდენ შესხმას გოდებით, მოიხსენიებდენ ყოველ ფარნაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზის საქველმოქმედო საქმეს, შეამკობდენ, ვისაც როგორ ეხერხებოდა ნიჭისა და ცოდნისა-მებრ, მერე მუხლს მოუყრიდენ დედოფალს და მიუტირებდენ მემკვიდრეს. ამ ტირილის დროს დიასახლისნი ერთ-ხმად, გულ-მოსაკლავად, მოზარეთ ხმათა შეწყობით, მკვნესარად შესძახებდენ: „უი-უი!!... უი-უი!!...“ მათი მკვნესარი გალობა გულის შემზარავი იყო და რომ არ სდომებოდა კაცს, მაინც გული აუჩვილდებოდა და ცრემლით იღვრებოდა. როცა ორი დიდებული გაათავებდა დარბაზში ტირილს, თითოეულს მათგანს ორი ხლებული გამოიყვანდა ისევ გარედ ეზოში, სადაც ეზოს მოზარენი ისევ გამართავდენ ზარით გალობას. მოტირალნი მოვიდოდენ და ეზოში დამწკრივებულს დიდებულებს სათითოოთ მიუტირებდენ მეფის დაკარგვის უბედურებას. ყოველ მათს წარმოთქმაზე მთელი წრე ერთ-ხმად შესძახებდა მოტირალთა: „ივაი-ივაი!... ივაი-ივაი!!“.... *)

როცა ამ სახით ორი მოტირალი გაათავებდა თავის რიგს, მერე განემზადებოდა მეორე რიგი ორის მოტირალისა და ასე ბოლომდის. ამ სახით ასეთი ტირილი და შეცხადება გაგრძელდა მთელი ორმოცი დღე. ყოველ დღეს ახალ-ახალი მოტირალნი დიდებულთა, აზნაურთა, გლეხთა და მოხელეთა მოდიოდენ მეფის ეზოში. დარბაზში კი მხოლოდ სამღვდელოება და დიდებულნი შედიოდენ დედოფლის მისატირებლათ. აზნაურნი, მოხელენი, ვაჭარნი და გლეხნი ცალ-ცალკე წრეს შეადგენდენ და ისე ტიროდენ ეზოში. ისინი აწვდენდენ ვაების ხმას დიდებულთა და იძახოდენ დრო გამოშვებით: „ივაი-ივაი!... ივაი-ივაი!...“ სანამ ტირილი და შეცხადება გაგრძელდა, ერი სასახლის ხარჯზე იკვებებოდა. ვინც იტირა, ის ისევ თავის ოჯახში ბრუნდებოდა. მაგრამ მის მაგიერად ახალ-ახალი ბრბო მოტირლებისა მოდიოდა. ეს ამბავი, როგორც მოვიხსენეთ, ორმოც დღემდის არ შეწყვეტილა, სანამ მიცვალებული მეფე მცხეთას არ მოასვენეს.

*) ასეთი ჩვეულება ტირილისა დღემდის დარჩენილა სვანეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVI

რაც სამთავრო სასახლეში ამბავი მოხდა, იმაზედ კიდევ უფრო ზარდასაცემი ტირილი და ვაება შეიქნა ბედიის სატახტო ქალაქში, ქუჯის სამეუფო სასახლეში, სადაც მეფის ცხედარი ესვენა.

იქ თვით მეფის ცხედარი შეამზადეს, რომ არ დახრწნილიყო და სუნი არ ადენოდა; მერე სუნნელოვანი წამლებით შემურეს, აი, ამ გვარად: *)

ჯერ მეფის გვამი გასწმინდეს შიგნეულობიდან. მოვიდენ მესუდრენი, მარილწყალში გაბანეს ტანი; შემდეგ მოვიდა კარის მკურნალი, რომელსაც ზედმიწევნით ჰქონდა კაცის ტანის აგებულობა შესწავლილი. იმან მოიტანა ფოლადის მარწუხი, შეუყო ცხვირის ნესტოში, გასტეხა ცხვირის ძვალი და შუბლისა, გააგანიერა ნახვრეტი შუბლის ძვლისა და გამოიღო მთელი ტვინი თავის სარქველიდან. იმანვე მთავარ ქურუმის თანადასწრებით გაფატრა მეფის მკერდი, ამოიღო ჯიგარი და დაათვალიერა. მკითხავმა ქურუმმა ილოცა და დაასკვნა, რომ მეფის ჯიგარს არავითარი სამეფოს მავნებელი ნიშნები არ ეტყობოდა. შემდეგ შიგნეული ამოიღეს, გასწმინდეს ყოველგვარ მწიკვლისაგან და ჩასდვეს წინათვე გამზადებულს შაბისა და მარილის წყალში, ჩასდვეს აგრეთვე შაბ-მარილწყალში თვით ტანი მეფისა. ორი კვირა ასე ამყოფეს, რომ ტანსა და შიგნეულობას მარილი და შაბი გასჯდომოდა. მერე ამოიღეს მეფის გვამი, ჩაუდვეს მკერდში და გვამში თავთავისი შიგნეულობა, შეჰკერეს და წასცხეს მეფის სახეს მუშკი, მური და სხვა ისეთი წამლები, რომ მისი პირის სახე დარბილდა და სწორედ სიცოცხლის ფერი დაეტყო. გეგონებოდა, მეფე მკედარი კი არ არის, სძინავსო. შემდეგ ჩასდვეს ურთხველის კუბოში და აიტანეს „კუბო-კრულში.“

კუბო-კრული იყო მშვენიერი ჩუქურთმით გაკეთებული ხის ფარდული, ექეს ბოძზე აშენებული ერთის უზარმაზარის ხის ტანის

*) ეს ხელობა ქართველებს ეგვიპტიდან ჰქონდათ გადმოღებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარშემო. თვითონ ეს ურთხვლის ხე იყო წმინდა ხე, რომელსაც ქართველები თაყვანსა სცემდენ და ეგონათ, რომ ამ ხეზე ბუდობდა წმინდა ტყის სული. საზოგადოდ ქართველებს იმ დროს ზოგიერთი ხეები წმინდანებათ სწამდათ და ტყესაც თაყვანსა სცემდენ. მთავარს ღმერთს ტყეებისას ეძახდენ წმინდა ტყის სულსა, ანუ „წმინდანსა“ და ის ხეები, რომელნიც წმინდათ მიაჩნდათ, ფიქრობდენ, რომ „წმინდანის“ ადგილ-სამყოფელი იყო. „წმინდანი“ იმდროის ქართველების წარმოდგენით იყო ღმერთი, მფარველი მკვდართა. ამ ღმერთს შეეძლო მკვდრის გაცოცხლება და აგრეთვე მკვდრის სულის ან სამოთხეში, ან ჯოჯოხეთში შეყვანა.

ამისგამო ყოველს სოფელს და ყოველს ქალაქს იმდროს თავის წმინდა ხე ჰქონდა ამორჩეული, რომელსაც ერი თაყვანს სცემდა და სწირავდა საქონელს სულიერსა და უსულოს, ავეჯულობას და ყოველნაირს მიწისა და ხელობის ნაწარმოებს. ქურუმნი ამისთანა ხეს უკმევდენ გუნდრუკს და სხვა სუნნელოვანს საკმეველს. თუ ვისმე დაეკარგებოდა, ან ნადირი შესჭამდა შინაურს პირუტყვს, ის მაშინვე მიაშურებდა ამისთანა ხეს და შეევედრებოდა ტყის წმინდა სულს დაკარგულის საქონლის მონახვას, ან ნადირის კბილების შეკვრას. იმათ სწამდათ აგრეთვე, რომ ყოველი ისრით დაჭრილი ნადირი თუ კი მიაღწევდა ამ ხესთან და სჭამდა მის ფოთოლს, უეჭველად განიკურნებოდა *). საცა კი ამისთანა წმინდა ხე იდგა ქალაქის, ან სოფლის მახლობლად, უშენებდენ ხის ტანის გარშემო ფარდულსა, ანუ კუბოკრულს: ექვს ბოძზე და ფარდულის ბანზე სდებდენ მიცვალებულის გვამს და ეევედრებოდენ წმინდა ტყის სულს, მიცვალებულის გაცოცხლებას, ანუ იმის სასუფეველში შეყვანას. რამდენსამე დღეს შემდეგ, როცა დარწმუნდებოდენ, რომ წმინდა ტყის სულმა არ ინება მიცვალებულის გაცოცხლება, შემდეგ ჩამოიღებდენ მკვდარს და დაასაფლავებდენ. წმინდა ტყის სული, ანუ „წმინდანი“ წარმოდგენილი ჰქონდათ ნათელი ბურთის სახედ. დღემდის ამ „წმინდანზე“ ბევრი

*) იხილე „ქართლის ცხოვრება“ 93 გვერდი, ნაწილი I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობაა, იმერეთში, სამეგრელოში! და აფხაზეთში დარჩენილი უძველესის დროიდან.

XVII

ტირილი რომ გათავდა, ფარნაოზის სიძემ ქუჯმა განამზადა რიგი და წესი მეფის გვამის წამოსაღებად მცხეთას. იგი ჩასდვეს გძელს ტახტრევანში და რაც ეგრისში დიდებული და ჩინებული კაცი იყო, ყველანი გამოჰყვენ. თითონ ქუჯი და მისი მეუღლე, ფარნაოზის დაჲ, ტახტრევანს უკან შავს მოწნულს კუბოში, ანუ ლორულში, ისხდენ. იგი იყო ეტლზე მოწყობილი და ბატონის შვილები მოჰყავდა. მთელი წყობა ჭირისუფლებისა შემდეგი წესით მოდიოდა. წინ იყო ეგრისის ჯარი ქურუმების თაოსნობით. შემდეგ მოჰქონდათ ტახტრევანით მეფის კუბო; მას უკან მოჰყვანდათ შავით მოსილს ლოლრულში ჩამსხდარნი ქუჯი და მისი მეუღლე. მათ უკან მოსდევდენ კარის კაცები, მთავრის ამალა და დიდებულნი. შემდეგ მოჰქონდათ ტაძრეული და ბარგი მეფისა და მთავრისა.

გზა ფენექით (ქვაფენილით) იყო დაგებული. იგი მოდიოდა ბედიიდან ქალაქს დიმს. ფაზის (რიონ-ყვირილას) მდინარეზე, საქსურიასთან, საჯავახოს ზემოთ, იყო ხიდი ქვიტკირისა. დიმიდან გზა მიჰყვებოდა მდინარის მარცხნით შორაპნამდის, შემდეგ გზა მიდიოდა ფაზის (ყვირილის) ხეობაში ჩიხის ქალაქამდე, მერე გადვიდოდა პერანგის მთაზე და ჩავიდოდა ურბნისს. ურბნისიდან გაივლიდა უფლისციხის ქალაქში და მივიდოდა მცხეთას. ცხედარს უნდა შეგებებოდა დიმის ქალაქში წუნდისა და ოძრხეს ერისთავნი დიდებულებით და მათი ერი. შორაპნის ქალაქში უნდა დახვედროდა მარგვისის ერისთავი დროშითა, თავის ჯარითა და ერითა. ურბნისს უნდა დახვედროდა კახეთის და ხორნაბუჯის ერისთავი. უფლის ციხის ქალაქში უნდა მოგებებოდა სამშვილდის ერისთავი. მცხეთას დედოფლის კარზე იყვენ მთელი ქართლის სპასპეტი და ხუნანის ერისთავი თავის დროშებით, ჯარებით და ერითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას გარდა ბედიიდან მოკიდებული, ყოველ სოფელსა და დაბის საზღვარზე ხედებოდენ ადგილობრივნი მცხოვრებნი თავად-აზნაურობით, რომელნიც, რაკი დაინახავდენ მეფის გვამს, ჯერ კიდევ შორიდან შეჰქნიდენ ხმა-მაღლა ტირილსა და გოდებას ზარცემით და მწუხარე გალობით. ეგრისის მოტირალთა მაინც განსაკუთებული ჩვეულება ჰქონდათ. ისინი იყვენ წელზემოთ გაშიშვლებულნი, ხელში ეჭირათ მათრახები, იცემდენ თავპირში და ტანში და სტიროდენ. ბევრს მათგანს თავისა და ტანის დახეთქილ კანიდან გადმოსჩქეფდათ სისხლი და ერეოდა ცრემლის ნაკადულსა. უფრო დიდი ზარისა და ვაების ხმა იყო ზემოდ მოხსენებულ ქალაქებში, სადაც დანიშნული იყო, რომ ერისთვები უნდა მიჰგებებოდენ მეფის ცხედარსა.

მცხეთის ქალაქის გარეთუბნები წიწამურისა და კოდმანის მინდვრები, აგრეთვე არმაზის გარემონი გადიჭედა სულ ახალ-გაკეთებული ხის სახლებით, რომ მოტირალს შიგ თავი შეეფარებინა; მაგრამ ვერც მცხეთა და ვეღარც მისი გარემონი მოსულს ერს ვეღარ იტევდენ. როცა მეფის ცხედარი შემოიტანეს წიწამურის ველზე, სასახლიდან დაიძრა ლიტანია. წამობრძანდა დედოფალი, რომელსაც მოჰყვებოდა თავისი მამა, მოხუცებული დურძუკეთის მეფე და მისი სახლობა. წინ დედათა ქურუმებს მიჰქონდათ ოქროს სამფეხზე წმინდა ცეცხლი. მას წინ მიუძღოდა გუნდრუკით მთავარი მოგვი და ქურუმთა ბრბო ზარის გალობით. ისეთი ტირილისა და ვაების ხმა ატყდა, ისეთი გოდებისა და ზარის ცემა იყო, რომ თითქოს დედა მიწა შეიძრაო და განკითხვის დღემ მოატანაო. დედოფალი თმაგაწეწილი, შავით მოსილი და ფეხშიშველა მიდიოდა. იგი მწუხარებით მოსთქვამდა. ქურუმნი მის ხმაზე ზარით გალობას აყოლებდენ. ცხედარი ტახტრევანიდან გადმოიღეს; მას გარშემოადგა ქურუმთა ბრბო, წინ წმინდა ცეცხლი დაასვენეს, ერისთვები თავის დროშებით გარშემოერტყენ. დედოფალმა როგორც დაინახა თავის ქმრის ცხედარი, იკივლა და სახე გაიპოტნა ისე, რომ მის ლოყებზე სისხლის ნაკადული ცრემლებს ერეოდა. ის მიეარდა კუბოს, ზედ დაასკდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული შეუწუხდა. მამა მისმა დურძუკის მეფემ და მისმა ქალმა, ქუჯის ცოლმა, უცებ მოჰკიდეს ხელი, აყნოსვეს სუნნელოვანი ამბრა, წაღმა მოაბრუნეს და წამოიყვანეს.

მეფის ცხედარი მოასვენეს სამეფო დარბაზში. მისი ჭირისუფლები დასხდენ ტახტზე. გაიმართა ისევ იმ წესითვე ტირილი და მიტირილი, როგორც წინათ. ამგვარმა წესმა გასტანა ერთი კვირა, სანამ სულ მთელი საქართველოს დიდებულნი დაასრულებდენ რიგით ტირილსა. შემდეგ წაიღეს მეფის გვამი არმაზის კოშკზედ და დაფლეს მარმარილოს აკლდამაში არმაზის ანდრიატის წინაშე. ამას შემდეგ დედოფალი, ქუჯი, ვისი მეუღლე და საურმაგი ჩასხდენ შავად შემოსილს სამგლოვიარო შენობაში, რომელნიც მათთვის იყო აგებული სამეფო ეზოში და ერთს წელიწადს იგლოვდენ. ამ დროს განმავლობაში მთელმა საქართველოს ერმა ჩაიცვა შავი, მოუშვა წვერი და თმა დაიწნა, ნიშნათ გლოვისა. მოგვიანში და სამლოცველო კოშკებზე იყო ნიადაგ დღე მწუხარების ზარი და მსხვერპლის შეწირვა ფარნაოზის სულისათვის. ყოველ დღე არმაზის კოშკზე მიჰქონდათ მეფის ულუფა (წილი) სასმელ-საჭმელი და მრავალნაირი სანოვაგე. ქართველებს სწამდათ, რომ საიქიოს მკვდრის სული ისე იკვებებოდა, როგორც საქაოს ცოცხლები. *)

გ. წერეთელი

*) იხილე საქართველოს ზნე-ჩვეულებანი თეიმურაზისა და ვახუშტის ისტორიაში, აგრეთვე ზნე-ჩვეულებანი სვანეთისა და სამეგრელო-აფხაზეთისა. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიტების ახალი წელიწადი

ამრიგად სახლის წინ დიდი ბაღი იყო. ბაღში ბევრი ჩიტები ბუდობდენ.

ახალწელიწად დღეს თოვდა და ბაღი თეთრად გაჭენტილი იყო.

ჩიტები დაფრინავდენ, დახტოდენ ბაღში, ეძებდენ საზრდოს, მაგრამ რას იპოვიდენ; ხეები ჩამოთოვილი იყო.

თამრო ფანჯრიდან შესტქეროდა და ფიქრობდა:

— საწყალი ჩიტუნიები! აბა, მაგათ უჭირსთ, აი! ცივათ! მშიერნი არიან! ეგენი ხომ ჩემსავით თბილ ოთახში არ არიან. ჩემსავით საახალწლო ხე ხომ არა აქვთ! — და თამრომ გადახედა თავის საახალწლო ხეს, მორთულს სათამაშოებით და ტკბილეულობით, რომელიც წინა ღამეს დედამამამ აჩუქა.

— მაგათ ხომ არავინ აჩუქებდათ საახალწლო ხეს. მოდი მე მიუგზავნეს ახალ წელიწადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამრომ მაშინვე ჩამოხსნა სათამაშოები ჰატარა ნამვის ხეს და იმის მაგივრად შეაბა ჰაწაწა კალათები და ეუთები, სავსე ჰურისა და ქადების ნამცეცებით.

მერე იშველა თავისი უფროსი ძმა და ერთად ჩამოკიდეს ეს ხე ფანჯრის გარეთ ბალკონზედ.

ზოგიერთი ჩიტი მოუახლოვდა ხეს და როდესაც ნახეს, რა გემრიელი საჭმელია ამ ჰაწაწა ეუთებში და კალათებში, მაშინვე წავიდენ ამხანაგების მოსაყვანად.

მოგროვდენ დიდ-ძალი ჩიტები, მოჭყვენ საუზმეს და უგალობდენ თამროს სამადლობელს.

ეს ახლა ერთი ათად უფრო სიამოვნებდა, ვიდრე წინადამეს, როდესაც მიიღო საჩუქრად ხე.

თამრომ ერთი რამე არ იცოდა აქამდის და დღეს შეიტყო, რომ ზოგჯერ გაცემა უფრო სასიამოვნო ყოფილა მიღებაზედ.

ან. თ.-წ—ისა.

ჩიტი და ვანო

(პაწია ბავშვებისთვის)

სოფელზედ მიედიოდი. პირღია ვანოს ჩიტი ეჭირა ხელში. ძალიან უხაროდა. ჩიტს კი გული უკვდებოდა.

დავბრუნდი უკან. ვანო მწარედ სტიროდა, ჩიტი კი მახლობელ ხეზედ მხიარულად ჭიკჭიკებდა.

ი. ს—ძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ხომ გინახავთ ფანჯარაში,
შევა ხოლმე სხივი მზისა
შემდეგ ისევ შარავანდში
მიიქცევა კვალად ისა.

—

და ფანჯარა უენებელად,
ხომ დარჩება ისევ მთელი,
ეგრედ იყო განსაცვიფრად
სული წმინდა მოვლენილი.

—

ჩაესახა ძე ქალწულსა,
იშვა ღმერთი ხორციელი,
ქალი დარჩა წმინდა, წმინდად
უბიწოა და უხრწნელი.

—

ამისთვისა თაყვანსა ვცემთ,
აღვიარებთ დედათ მღვთისად,
რომ ნათელი გადმოგვფინა,
და დათრგუნა წყევა ღვთისა.

ბარბარე ჯორჯაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა მ ა შ ო ბ ა

ქორობია

ამოდენიმე ყმაწვილი ამოირჩევს ერთს უფროსს ყმაწვილს „კრუხად“, ანუ „დედად“. შემდეგ ამოირჩევენ „ქორად“ ისეთს ყმაწვილს, რომელიც სისწრაფით ყველას სჯობია. ქორი მოაგროვებს რამდენსამე ჩხირს ერთს ალაგას და ზედ დააჯდება, თითქოს ბუდეს იკეთებს თავისთვისაო. მოდის კრუხი თავის წიწილებიანა (ბავშვებიანა), რომელთაც ერთმანეთზედ ხელი უკიდიათ და კრუხს უკან დასდევენ.

— ქორო, გძინავს თუ არა?

— არცა მძინავს, არცა თვალი მიხუჭია

მერე ეტყვის:

— ქორო გაიხედე მინდორზედ, რამდენი წიწილებია!

ქორი სტყუვდება და გარბის მინდვრისკენ, მაგრამ ვერას ჰპოულობს. ამ დროს კრუხი მოსტაცებს ქორს მოტანილ ჯოხებს, წიწილებსაც თან წაიყვანს და მიდის თავის ბინაზედ. ქორი უკან ბრუნდება, ბუდეს დანგრეულს ნახავს და გაბრაზებული მიდის კრუხთან.

— კრუხო, ჩვენმა ბატონმა შემოგითვალა, წიწილა გამომიგზავნე დღესაო.

— თქვენ არ მომიკვდეთ, წიწილები ერთიც არა მყავდეს.

— აბა, დაუძახე, თუ არა გყავს.

— წია, წია, წია,—დაუძახებს კრუხი.

— ჭუ, ჭუ, ჭუ,—მოსცემენ ხმას წიწილები.

— მაშ ეს რა არისო? — ეტყვის ქორი და მოსტაცებს წიწილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ყველას წაართმევს, წაიყვანს იმათ და ერთ მივარდნილ ალაგას დააბინავებს. მერე წავა ქორი კიდევ სანადიროთ, მიდის გზაში და ხედავს, რომ მინდორში დამჯდარა საწყალი კრუხი და ცხარე ცრემლით სტირის:

— შვილო კაკიაო!...

— რა გატირებს ბებიაო?—ჰკითხავს ქორი.

— ვაი, შვილო, როგორ რა მატირებს, ერთის შვილის მეტი არ გამაჩნდა; ის იყო ჩემი მსმეველ-მჭმეველი, ჩემი აივი და ჩემი კარგი, ისიც ქორმა წამართვა და ვარ ასე უბედურად დაგდებული.

— რა ერქვა შენს შვილს?

აქ კრუხი ყმაწვილის სახელს ეტყვის და ქორიც მაშინვე წავა და კოჭლობით მოუყვანს კრუხს თავის წიწილს. დიდი სიყვარულით გადაეხვევა დედა შვილს და შემდეგ ჰკითხავს:

— სად იყავი, შვილო?

— წისქვილშიო.

— რა გეგო ქვეშ, ან ზედ რა გეხურა?

— ქვეშ თივა მეგო და თავით ცივი ქვა, დედილო.

— რაღას გაჭმევდენ, შვილო?

— ჩვენი საჭმელი იყო, დედი, „ქათამ-კორკოტი“.

— ვაი შვილო, შენ მაგას როდი იყავ შეჩვეული, შენი მტერი „გასკდა ბოლომდი“,—მოდი, შვილო, აგერ მომიჯექ გვერდით.

მიიღებს ერთს წიწილს და შემდეგ ისევ შეუდგება ტირილს იმავე სიტყვებით, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. ქორიც იმ გვარადვე მოუყვანს ყველა წიწილებს და შემდეგ ერთად სიხარულით და პატივისცემით უხდიან მადლს მათ მპატიებელს ქორს და ამ გვარად რჩება ქორი გამარჯვებული და კრუხი დამარცხებული.

თ. ხ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1) არ აშენდა ხუროს სახლი,
არცარა მონადირისა;
სამი თვით უწინ დაივსო
მეთევზე — მებადურისა.

2) ყვავი ჩხიკვის მამიდაო,
გაფრინდა და წავიდაო.

3) ისე ვიყავ მე,
როგორც ახლა შენ;
ისე გნახავ შენ,
როგორც ახლა მე.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ს. დათეშიძის მიერ ჩაწერილი)

გამოცანას მოგახსენებ, გამოცანას ვარგებულსა:
დიდ-ჯალაბა, პატარ-სახლა, გემრიელად დაგებულსა.

ცასა მოუწმენდიაო, მოუკაშკაშებიაო;
ტურას ტყავი მოუხურავს, მოუხაბაკებიაო.

კანსი, კუნსი კანსარასა,
ნადირობს და სჭამს არასა.

(ხუსკივაძისაგან წარმოდგენილი)

საკერებელს ვაკერებდი
უძაფ, უნემს, უმკერდოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს დაეკრაედი პიწკინასა,
უცხოსა და მოსახვევესა.
კაცი უნდა გონიერი,
საქმე კარგათ მოსაზროსა.

სადღეგრძელო

(რაჭაში ჩაწერილი დათეშიძესაგან)

ღმერთმა გადღეგძელოს, გაცოცხლოს!
ტანი მთელი მოგცეს,
გული მხიარული,
ხელში ჭიანური,
ქოშით სიარული,
ბეღელში პური,
ჯიბეში ფული,
გონება სრული,
მოქცევა ძმური.

სახალხო ლექსი

ბატონი. ადე, ბიჭო ზაქარია!
გარეთ გადი, თუ დარია?

ბიჭი. არც წვიმს, არც თოვს, არც დარია.
ზის ხოხობი, უცქერს ქორი,
მეძებრებსა გაპარვია.

ისტორიული აკროსტიხი

წარმოდგენილი მ. ლ.)

Თალხი გადეკრა სამშობლოს, გვიჩანს ქართველთა ბნელადა.
Არსაით ისმის ქართველის ხმა, დიდება ჰქონდათ ძველადა.
Მფარველი ვინმე აღარ ჰყავთ, ვილას მიჰმართონ მხსნელადა...
Აღა-ნუქარდინ, სპარსეთი, მას მსახურებდენ ქველადა.
Რამდენი სასწაულად მან საქმე ჰქმნა საკვირველადა.
Ივერიისა მნათობის მსგავსი გვიჩნდების ძნელადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ მ ა

(აპ. წულაძისაგან)

საბა რიყეზე მუშაობს.
გავიდეთო ხიდზედ—უთხრა დამ ძმასა.
მინამ გალიას ნუ იკითებ, ვიდრე ჩიტს დაიჭერდე.
დავასახელე ჩოხა ტანისამოსი.

სამათემათიკო გამოცანა

(ლ. მათიკაშვილის მიერ წარმოდგენილი)

(ვინც ამას გამოიცნობს საჩუქრად მიიღებს „ჯეჯილის" რედაქციის გამოცემულ ნ:ხატებიანს „ვეფხის ტყაოსანს".)

ერთმა კაცმა გაატანა თავის შვილებს ბაზარში კვერცხები გასასყიდად. პირველს გაატანა 10, მეორეს 30 და მესამეს 50 კვერცხი. ყველა ძმებმა ერთს მაზანდაზედ დაუწყეს კვერცხს გაყიდვა. უცებ ბაზარში კვერცხი გამოილია და ამ სამივე ძმებმა ძალიან ასწიეს კვერცხის ფასი, მაგრამ მაინც კიდევ ერთს მაზანდაზედ ჰყიდეს. როცა შინ დაბრუნდენ, გამოჩნდა, რომ რაც პირველს 10 კვერცხში ფული აელო, ის მეორეს 30 კვერცხში და მესამეს 50 კვერცხში. გამოიცანით: როგორ ისყიდებოდა კვერცხი პირველსა და მეორე მაზანდაზედ და რამდენ-რამდენი ფული მოიტანეს შინ?

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი დუტუ მეგრელისაგან)

პირველს ვეძახით დიდ გზასა;
კავშირი არის მეორე.
თუ გინდათ მთელის გაგება,
დახედეთ ცოტა ზემორე.

ერთსა კაცსა ჩვენებურად ჰქვიან პურის სახელი,
გვარსა უზის სათაევში ჩრდილო ხალხის სახელი
და ბოლოში მწიფე ყანის სანატრელად მსახველი;
ერთ გამოთქმით გვეხატება დიდებული ქართველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი თოიძესაგან)

მე-VI №-ის გამოცანების ახსნა:

1) ნამყენი, 2) ცეცხლი, 3) ხარაბუზა, 4) ზღმარტლი.

ზმა: 1) ფარგა და კობრი (თევზების სახელია). 2) ნაძვი და წიფელა.

სამათემატიკო გამოცანა: მესამე ინგლისელმა წასჩურჩულა, ცხენები შეეცვალათ.

შარადა: ჩვენი მწერლის სახელი „მამია“.

რებუსი: ობლის მფარველი ღმერთია.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატებიანი ახალი ჟურნალი

„კვალი“

(დამატება „ჯეჯილისა“)

გამოვა 1893 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ

ერთიდან სამ თაბახამდის.

მუდმივნი თანამშრომელნი არიან: თ-დი **აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი**, თ-დი **ი. მაჩაბელი**. ჯერჯერობით აღგვითქვეს თანამშრომლობა **ეკ. გაბაშვილისამ, იაკობ გოგებაშვილმა, სოფ. მგალობლიშვილმა, ნ. ხიზანანაშვილმა** (ურბნელმა) **ი. ბახტაძემ** (ხონელმა), **ნ. ლომაურმა, ანტ. ფურცელაძემ, ბ. უმიკაშვილმა, ა. ჭიჭინაძემ, გ. იოსელიანმა ე. თაყაიშვილმა** და **ა. გარსევანაშვილმა.**

წლიურად ეღირება გაუგზავნელად **7** მანეთი, ხოლო გაგზავნით **8** მანეთი.

ნახევარის წლისა გაუგზავნელად **3** მან. **50** კ., გაგზავნით **4** მანათი. სამი თვისა გაუგზავნელად **2** მანეთი, გაგზავნით **3** მანეთი. თითო ნომერი **აბაზათ.**

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახალხო სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში.“

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიანთ მიიქცენ „ჯეჯილის“ და „კვალის“ რედაქციაში ამ ჟურნალის დასაბარებლად.

ვინც „**ჯეჯილსა**“ და „**კვალს**“ ერთად დაიბარებს, იმათთვის წლიურად ეღირება გაუგზავნელად **10** მან., ხოლო გაგზავნით **12** მან.

კერძო განცხადება დაიბეჭდება სხვა-და-სხვა ენაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXV г. изд. ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1893 годъ XXV г. изд.

на иллюстрированный журналъ для дѣтей школьнаго возраста

„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“

„Съ приложеніемъ Педагогическаго Листка“

ДЛЯ РОДИТЕЛЕЙ И ВОСПИТАТЕЛЕЙ.

Въ 1893 году „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ вступаетъ въ 25-й годъ своего существованія.

„ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ ОДОБРЕНО Учебнымъ Комитетомъ Собственной ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА Канцеляріи по Учрежденіямъ ИМПЕРАТРИЦЫ Маріи, Главнымъ Управленіемъ Военно-учебныхъ Заведеній ВКЛЮЧЕНО въ каталогъ книгъ для чтенія воспитанникамъ кадетскихъ корпусовъ, 1891 г., ДОПУЩЕНО Учебнымъ Комитетомъ Министерства Народнаго Просвѣщенія въ ученическія библіотеки среднихъ учебныхъ заведеній.

Съ 1892 года „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ издается подъ новой редакціей. Редакція ставитъ себѣ задачей придерживаться программы лучшей поры существованія журнала „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“.

Въ совѣщаніяхъ редакціи принимаютъ близкое участіе А. Н. Острогорскій и В. П. Острогорскій.

При журналѣ „ДѢТСКОЕ ЧТЕНІЕ“ издается „ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ“, выходящій четыре раза въ годъ отдѣльными книжками отъ 3 до 5 печатныхъ листовъ. Большая часть статей „ПЕДАГОГИЧЕСКАГО ЛИСТКА“ будетъ посвящена домашнему воспитанію, элементарному обученію и разработкѣ вопросовъ о чтеніи дѣтей.

Съ 1893 года въ „ПЕДАГОГИЧЕСКОМЪ ЛИСТКѢ“ будетъ издаваться періодическій указатель вновь выходящихъ дѣтскихъ и учебныхъ книгъ; въ указателѣ будутъ помѣщаться краткое описаніе и разборъ по возможности всѣхъ вновь выходящихъ книгъ для дѣтей и юношества, учебниковъ, руководствъ и пособій для родителей, воспитателей и учителей.

Кромѣ того, въ концѣ года въ „ПЕДАГОГИЧЕСКОМЪ ЛИСТКѢ“ будетъ помѣщаться рекомендательный каталогъ книгъ для дѣтей и юношества, какъ вышедшихъ въ теченіе года, такъ и ранѣе изданныхъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГОДЪ:

Безъ доставки въ С.-Петербургѣ. **5** р. | съ доставкою въ С.-ПБ. и пересылкою во всѣ гг. Россіи. **6** р. | За границу **8** р.

На полгода—3 руб.; на четверть года—1 руб. 50 коп.; на девять мѣсяц.—4 руб. 50 коп.

Допускается разсрочка по третямъ и полугодіямъ.

Подписка принимается въ главной конторѣ редакціи: СПБургѣ. Разъѣзжая ул. д. № 3, кв. 12, въ отдѣленіяхъ конторы: книжныхъ магазинахъ Калбасникова, Фену и К°. (Невскій пр., № 40), а также во всѣхъ другихъ столичныхъ книжныхъ магаз., а въ Москвѣ—въ конторѣ Н. Н. Печковской.

Издатель *Я. В. Борисовъ.* *П. В. Голяховскій.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“,

газета политическая, литературная, экономическая и общественной жизни.

открыта подписка на 1893 годъ.

Выходитъ ежедневно, исключая дней послѣпраздничныхъ, въ форматѣ средняго газетнаго листа.

Открывая подписку на будущій годъ, редакція считаетъ долгомъ заявить, что она по прежнему направитъ всѣ усилія къ развитію отдѣла о мѣстныхъ злобахъ дня, о выдающихся событіяхъ общественной жизни Кавказа и къ разработкѣ вопросовъ, касающихся энономической жизни Закавказья.

Издавая „Тифлисскій Листокъ“ при настоящемъ составѣ редакціи въ продолженіи шести лѣтъ, мы считаемъ излишнимъ давать какія-либо заманчивыя обѣщанія. Постоянные читатели „Тифл. листка“, на глазахъ которыхъ происходилъ его постепенный ростъ, согласятся, что мы не щадили досихъ поръ никакихъ средствъ и трудовъ, чтобы сдѣлать нашу газету отзывчивой, интересной, живой и разнообразной по содержанію. Мы, какъ и раньше, будемъ неуклонно итти по пути улучшеній изданія, держась строго прежняго направленія, которое хорошо знакомо читающей публикѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:	Съ пересылкой для иногородныхъ:
на годъ . . . . 5 р.	на годъ . . . . 6 р.
на полгода. . . 3 „	на полгода. . . 3 „ 50 к.
на три мѣсяца. 1 „ 75 к.	на три мѣсяца. 2 „ — „
на мѣсяцъ . . . — „ 75 „	

Подписка принимается: Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова № 3.

Редакторъ-издатель Х. Г. Хачатуровъ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ

на газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(десятый годъ изданія)

Въ 1893 г. „Новое Обозрѣніе“ будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежеднедвно, по программѣ газеты литературной, общественной и политической.

Условія подписки: съ пересылкою и доставкою: на годъ **10 руб.** на полгода—**6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на одинъ мѣсяцъ—**1 р. 50 к.**, Заграницу: на годъ—**17 р.**, на полгода—**9 р.**, на три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе, какъ считая съ перваго числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **допускается разсрочка**, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится 3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются:

а) **Въ Тифлисъ:** въ конторѣ газеты, Головинскій просп., д. Читахова, № 12.

б) **Въ отдѣленіяхъ конторы:**

1) **Въ Кутаисъ**—при книжн. магаз. бр. Чиладзе, на Тифлисской ул. противъ собора, въ собств. домѣ.

2) **Въ Батумъ**—при Книжно-газетн. агентствѣ М. Николадзе

Иногородные адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Нов. Обозрѣнія“.**

Редакторъ **В. М. Тумановъ.** Издатель **К. М. Тумановъ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოვა 1893 წელსაც იმავე პროგრამით, რაც ორცა აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი 1893 წლისათვის,

მ ი ჰ მ ა რ თ ო ს

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21, ბ) „ქართველთა-მორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგი

ა დ რ ე ს ი თ:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარი წლით—6 მანათი.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო ფასუხის მგებელი იქმნება, მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში“ წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია ივერიის უკანასკნელს გვერდზედ.

დაიბეჭდა და გადაეცა ვასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი

საქართველოს კალენდარი

1893 წლისთვის

დასრულებული მრავალი სურათებით

ფასი 45 კაპ.

უგის წიგნი

1893 წლისთვის

მშვენიერი ყდით და ყარანდაშით

ფასი 40 კაპ.

სახალხო კალენდარი

მრავალ გვარ საჭირო ცნობებით

ფასი 10 კაპ.

წიგნის მოგაჭრეთა დაეთმობათ ჩვეულებრივი პროცენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОТКРИТА ПОДПИСКА НА 1893 ГОДЪ

на армянскіе иллюстрированные журналы

ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ДѢТСКІЙ

„АГБЮРЪ“

Съ приложеніемъ для воспитателей и еженедѣлный

„ТАРАЗЪ“

Журналы „АГБЮРЪ“ и „ТАРАЗЪ“ будутъ издаваться при постоянномъ сотрудничествѣ гг. Габріэля Мирзоянцъ и Степана Лисицянцъ по прежней программѣ.

Подписная плата: на годъ за „Агбюръ“—3 р., за „Таразъ“—6 р.; на мѣсяцъ—за „Агбюръ“—30 к., за „Таразъ“ 50 коп. Преміи получатъ только годовые подписчики, подписавшіеся на оба изданія. Подписка принимается въ конторѣ „Агбюръ“ и „Таразъ“ на Барятинской улицѣ, д. № 4.

მიიღება ხელის-მოწერა 1893 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს.

„მწყემსზედ“

და რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოროიელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივთა ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივის კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

ფასი გაზეთისა

12 თვით „მწყემსი“ 5 მ.	6 თვით „მწყემსი“ 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 „	— „ ორივე გამოცემა 4 „
— „ რუსული „ „ 3 მ.	— „ რუსული „ „ 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში. გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში** აგრეთვე **ქუთაისშიაც.**

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით:

Въ Квирилы, въ редакцію гзетъ „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1893 годъ.

(Сорокъ восьмой годъ изданія).

„КАВКАЗЪ"

Сверхъ общихъ задачъ ежедневнаго изданія, „кавказъ" посвященъ въ особенности всему, что касается:
1) Кавказскаго края, 2) Средней Азіи 3) смежныхъ восточныхъ странъ.

ПДПИСНАЯЦѢНА:

	Городская.	*Иногородная.*	*Заграничная.*
На 12 мѣсяцевъ . .	11 р. 50 к. .	13 р. . . .	18 р. 40 к.
„ 6 „ . .	6 „ — „ .	7 „ . . .	10 „
„ 3 мѣсяца . . .	3 „ 50 „ .	4 „ . . .	6 „
„ 1 мѣсяцъ . . .	1 „ 50 „ .	1 „ 75 к.	2 „

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ одного до двѣнадцати мѣсяцевъ.

Желающіе подписаться съ разсрочкою вносятъ 2 р. при подпискѣ и по 1 р. къ первому числу каждаго послѣдующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

Плата за объявленія (со строки петита или занимаемаго ею мѣста): *На послѣднихъ страницахъ*: съ мѣстныхъ объявлиній (кавказскихъ)—6 коп. за каждый разъ. *На первыхъ страницахъ* вдвое. За большія или многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рублей съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА": Тифлисъ. Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ.

Годъ IV. **ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1893 г.** **Годъ IV.**

на еженедѣльный иллюстрированный популярно-научный журналъ
для семейнаго чтенія и самообразованія

„ПРИРОДА и ЛЮДИ"

(Подписной годъ 1 ноября 1892 по 1 ноября 1893 г.)

Въ наступающемъ году журналъ „Природа и Люди" сохранитъ прежнюю программу и направленіе, завоевавшія себѣ симпатіи читающей публики, т. е. по прежнему, наряду съ занимательными романами, повѣстями и разсказами, будетъ

ეროვნული ბიბლიოთეკა

помѣщать на своихъ страницахъ и массу статей по всевозможнымъ отраслямъ науки и практической жизни.

Въ будущемъ году журналъ „Природа и Люди“ дастъ своимъ подписчикамъ:

52 Еженедѣльныхъ номера; каждый № будетъ состоять изъ 16 страницъ большаго формата и будетъ заключать въ себѣ 6—8 крупныхъ статей, массу мелкихъ и 8—10 изящныхъ иллюстрацій. Между прочимъ, для будущаго года редакціею заготовлены слѣдующія статьи: „Христофоръ Колумбъ“—большой историческій романъ въ 2 частяхъ *Е. Шрекника*, съ великолѣпными иллюстраціями, изображающими главные моменты изъ жизни Колумба; „Майя“—большой романъ изъ міра таинственнаго *В. П. Желиховской;* „Мститель“—большой разсказъ изъ жизни нашихъ среднеазіатскихъ окраинъ *В. Губаревичъ;* „Противъ воли“—разсказъ изъ области гипнотическихъ внушеній, *А. Зарина;* „Талантъ“—разсказъ того же автора; „Небесные странники“—большой астрономическій романъ *Р. Кроми;* „Въ морскихъ безднахъ“—повѣсть изъ жизни водолазовъ *Г. Бланшера;* Наши закаспійскіе сосѣди“—очерки и картины Персіи *С. Миклашевскаго;* (съ массою иллюстрацій) „На рифѣ“—разсказъ *Рейналя* (съ иллюстраціями); „Въ муравьиномъ царствѣ—очерки жизни и нравовъ муравьевъ *Т. Богданова;* „Свѣтящіяся рыбы“—*Г. Вѣнецкаго;* „Самозащита растеній“ и „Путешествія растеній“—очерки *А. Ковалевскаго;* „Предсказатель погоды“—*В. Максимова;* „Земля въ пространствѣ“ и „Разорвавшаяся на куски комета“—очерки *Н. Витвицкаго;* „Исторія земной фауны и флоры“—гелогическія очерки и картины *М. Николаева;* (псевд.); „Африканскіе пигмеи“—*Катрфажа;* „Фальсификаци и легчайшіе способы ихъ обнаруженія“—рядъ очерковъ д-ра *Ф. Буринскаго;* „Бумажные дома“ *Ц. Раубера;* „Поддѣлка монеты и способы открывать ее“—*его же;* „Разведеніе трюфелей“—*В Гана;* „Пчелы и пчеловодство;—очерки *А. Санина;* „Бесѣды по рыбоводству“—*Ф. Троицкаго;* „Комнатная пиротехнія“—*Ф. Федо;* „Обманы зрѣнія“—*А. Круга;* „Земледѣліе будущаго“—*Р. Р-ва*; біографическіе очерки *Крузенштерна, Беринга, Пржевальскаго, Миклухи-Маклая*, *Боткина, Пирогова* и др.; „Очерки всемірной выставки въ Чикаго“ (отъ собственнаго корреспондента); замѣтки о новѣйшихъ путешествіяхъ и открытіяхъ, полезные совѣты и т. п.

═ Всѣ статьи будутъ иллюстрированы лучшими художниками ═

Въ качествѣ приложенія редакція въ наступающемъ году дастъ:

12 ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ВЫПУСКОВЪ

полнаго описанія всѣхъ путешествій (по Финляндіи, Обонежью, Мурману, Печерскому краю, Сибири, Японіи, персіи, Сиріи, Малой Азіи, Египту, Сахарѣ и т. п.)

Извѣстнаго путешественника-писателя доктора А. В. Елисѣева.

подъ общимъ заглавіемъ

„ПО БѢЛУ СВѢТУ“

Сочиненіе это будетъ великолѣпно отпечатано на веленевой бумагѣ и иллюстрировано массою (нѣсколько сотъ) рисунковъ лучшихъ иллюстраторовъ, какъ русскихъ: *Е. П. Самокишъ-Судковской, В. Г. Казанцева, Н. Н. Каразина, В. С. Полякова, Н. С. Самокита* и др., такъ и иностранныхъ: *Ріу, Баяра* и пр.

Цѣна на журналъ со всѣми приложеніями остается прежняя—5 руб. въ годъ съ пересылкою и доставкою.

Подписка принимается въ конторѣ Редакціи журнала (СПБ., Вознесенскій пр. 47) и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.

Допускается разсрочка: при подпискѣ 2 р., къ 1 апрѣля 2 р. и къ 1 іюля 1 р.

За 1889—1890 г. журналъ весь разошелся; за 1891 и 1892 г. осталось небольшое количество,—цѣна съ пересылкою 5 руб.

Редакторъ С. Груздевъ—*Издатель* П. Сойкинъ.